ელიზა მარქარაშვილი

სამეცნიერო-პოპულარული დიფერენციალური ქიმიები

წიგნი N 1

ქიმია და კოსმეტიკა

ელიზა მარქარაშვილი

ქიმია და კოსმეტიკა

საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაცია

თბილისი
2012

სერია სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა ქიმიაში

წიგნი N 1

ელიზა მარქარაშვილი; **ქიმია და კოსმეტიკა**

საავტორო უფლებები დაცულია © 2012

გამოცემულია საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის მიერ

ისტორიული მიმოხილვა

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, კოსმეტიკა გამოიგონა ძველი ბერძნების სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთმა, აფროდიტემ

კოსმეტიკის სამშობლოდ ეგვიპტე ითვლება. ამ საიდუმლოებებითა და გამოცანებით სავსე ქვეყანაში სახისა და სხეულის მორთვის ხელოვნებამ უმაღლეს განვითარებას მიაღწია. სიტყვა "კოსმეტიკა" წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან " kemet", რაც ნიშნავს შავ მიწას ნილოსის ნაპირებიდან, საიდანაც საღებავ ნივთიერებებს იღებდნენ. ეგვიპტეში კოსმეტიკა წარმოიშვა სახისა და თვალების დასაცავად მწველი მშრალი ჰაერისა და ქვიშის ქარიშხლისაგან. სურნელოვანი მცენარეული ზეთები არბილებდა და ატენიანებდა კანს და სიმსუბუქეს ანიჭებდა მას.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, კოსმეტიკა გამოიგონა ძველი ბერძნების სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთმა, აფროდიტემ. ბუნებრივია, ეს ლეგენდაა, რომლის თანახმადაც, აფროდიტემ შექმნა ყველაზე ლამაზი ყვავილი – ვარდი, რათა მისი ფურცლებისგან მომზადებული აბაზანები მიეღო. სხვათა შორის, თანამედროვე კოსმეტიკის მრავალი პროცედურა სწორედ უძველესი დროიდან იღებს სათავეს. მაგალითად, სხეულზე არასასურველი თმების მოსაცილებლად კოსმეტიკურ სალონებში ამჟამადაც იყენებენ ე.წ. "შუგარინგის" მეთოდს, რომელსაც შაქრის ეპილაციასაც უწოდებენ. ძველადაც არსებობდა მსგავსი პროცედურა: გამომწვარ შაქარს ან შაქრის პასტას უმატებდნენ ლიმონის წვენს და ისვამდნენ კანზე. მიღებული ეფექტი ძალიან ჰგავდა დღეს არსებულ შედეგებს. ოღონდ, დღემდე უცნობია, ვინ მოიფიქრა ეპილაციის ეს საშუალება – ნეფერტიტმა თუ თაის ათენელმა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-IV საუკუნეებში, ბერძენი ქალბატონები, პუდრას მსგავსად, ხმარობდნენ დანაყილ პარკოსან მცენარეებს, ფქვილსა და ცარცს. ბაგეებს იღებავდნენ წითელი საღებავით, რომელსაც ბუჟღენდისგან (ეს არის ბალახისმჭამელი მწერის, ბუჟღენდის ბუგრისგან დამზადებული სპეციალური ნივთიერება) ამზადებდნენ. წამწამებს მურით იღებავდნენ, მათ დასაფიქსირებლად კი ფიჭვის ფისისა და კვერცხის ცილის ნარევს ხმარობდნენ. ამავე პერიოდს განეკუთვნება ძალზე საინტერესო ნაშრომი "ტრაქტატი სილამაზის შენარჩუნების შესახებ", რომელიც იმ დროისთვის ცნობილ კურტიზან ქალს, ასპაზიას ეკუთვნოდა.

კრემი ნაოჭებისთვის გამოიგონა ათენელმა ჰეტერა ქალმა, ფრინამ. კრემის შემადგენლობაში შედიოდა მდედრი ვირის რძე. ცნობილია, რომ ნერონის მეუღლე, პოპეა ვირის რძისგან მომზადებული აბაზანებით სარგებლობდა. როდესაც პოპეა სადმე მიემგზავრებოდა, ყველგან თან მიჰყავდა მდედრი ვირების ჯოგი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინგრედიენტი კოსმეტიკაში დღემდე გამოიყენება.

ჩინეთის იმპერატორთა მეუღლეები კი ახალგაზრდულ კანს იმით ინარჩუნებდნენ, რომ დღეში ორჯერ სახეზე მასაჟს იკეთებდნენ ნატურალური აბრეშუმის ნაჭრით. ბოლო პერიოდში, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სახეზე აბრეშუმის ზემოქმედების დროს წარმოიქმნება სტატიკური ელექტრობა, რომელიც ასტიმულირებს კანის რეგენერაციას.

რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, მხოლოდ ქალებს როდი შეჰქონდათ თავიანთი წვლილი კოსმეტოლოგიის განვითარებაში. კოსმეტიკის მიმართ არც სწავლული მამაკაცები იყვნენ გულგრილი. მაგალითად, ცნობილი ჰიპოკრატე ამზადებდა განსაკუთრებულ კრემებს და სამედიცინო საშუალებებს არა მარტო ნაოჭების გასაშლელად და დამჭკნარი კანის გასაახალგაზრდავებლად, არა-მედ პირიდან ცუდი სუნის გასაქრობადაც. თუმცა, მისი რეცეპტები დღეს ცოტა უცნაურად და არაცივილიზებულად გამოიყურება: ახალგაზრდული იერის შესანარჩუნებლად, უნდა გამოვიყენოთ ზეითუნის ზეთის, წითელი ღვინისა და ხვლიკის ღვიძლის ნაზავი. შესაძლებელია ამ რეცეპტის ადაპტირება, თუ ამოვიღებთ ღვიძლს.

უძველესი დროიდან, დიდი ყურადღება ეთმობოდა დეკორატიულ კოსმეტიკასაც. ძველ ეგვიპტეში უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა, თუ ადამიანი ხალხში კოსმეტიკის გარეშე გავიდოდა. ეგვიპტურ მაკიაჟში განსაკუთრებული ყურადღება თვალებს ექცეოდა: თვალებზე სპეციალური ჩხირით და სქელი შავი სითხის მეშვეობით, კონტურს იკეთებდნენ. ამავე მიზნით საუკუნეების მანძილზე მწვანე ფხვნილსაც იყენებდნენ. სახისთვის ტონალობის მისაცემად ხმარობდნენ ყვითელ და წითელ ჟანგმიწას.

ხანგრძლივი ისტორიისა და მდიდარი გამოცდილების მიუხედავად, შუა საუკუნეების ევროპაში კოსმეტიკა სერიოზულ შევიწროებას განიცდიდა: მას სატანის გამოგონებად თვლიდნენ და ანათემასაც კი გადასცეს. თუმცა, ამ ფაქტმა მისადმი ინტერესი ვერ გაანელა. ეს მეცნიერება განაგრძობდა მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა გონებისა და გულის დაპყრობას. აღსანიშნავია, რომ ევროპამ უდიდესი წვლილი შეიტანა კოსმეტიკის განვითარებაში.

> მაკიაჟის გაკეთების ტექნიკა მე-16 საუკუნეში იმდენად გართულებული იყო, რომ ამ მიზნით მხატვრებსაც კი იწვევდნენ.

მაკიაჟის გაკეთების ტექნიკა მე-16 საუკუნეში იმდენად გართულე-ბული იყო, რომ ამ მიზნით მხატვრებსაც კი იწვევდნენ. ბუნებრივია, აქ ყოველდღიური მაკიაჟი არ იგულისხმება. ეს იყო ხანგრძლივ დროზე გათვლილი მაკიაჟი. იმ დროს მიღებული არ იყო პირის დაბანა; ასე რომ, სახე საღებავს დიდხანს ინარჩუნებდა. სწორედ ამ ტრადიციამ ჩაუყარა საფუძველი პერმანენტულ, ყოველდღიურ მაკიაჟს.

იმ დროს პირადი ჰიგიენის საკითხი სათანადო დონეზე არ იდგა. არა მარტო პირის დაბანა, არამედ აბაზანების მიღებაც იშვიათი მოვლენა იყო. ცდილობდნენ, ბინძური სხეულის არასასიამოვნო

სუნი წარმოუდგენელი რაოდენობის, სხვადასხვა არომატული საშუალების მეშვეობით ჩაეხშოთ. დიდებულებს შორის დიდი მოთხოვნა იყო სუნამოებზე, პუდრასა და ტუჩსაცხებზე.

ეგვიპტელების სიყვარული კოსმეტიკისადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ ტაძრებზე წმინდა ცხოველებს (კობრებს, ნიანგებს, კატებს, ხარებს) თვალების ირგვლივ უხატავდნენ წრეებს ფორსფორესენცირებული საღებავებით, სტატუებს მკვეთრად უხატავდნენ თვალებს, ფერად გარსს ავსებდნენ გამჭვირვალე კვარციტით, ხოლო გუგის ადგილას ბროლის ნატეხს ათავსებდნენ. შედეგად თვალი ჰიპნოზურ მოქმედებას ახდენდა.

ძველ სამარხებში ნაპოვნია ჭურჭლები კრემების, ზეთების, ნელსაცხებლების ნარჩენებით

ეგვიპტეში გამოყენებული კოსმეტიკური საშუალებების შესახებ ცნობებს იძლევა ***ებერსის პაპირუსი***, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVII საუკუნით არის დათარიღებული.

კრემისა და საღებავების დატანა სახეზე, რაც ჩვენი წინაპრებისათვის სიმბოლურ სამკაულს წარმოადგენდა, ეგვიპტელებმა მაღალი ხელოვნების რანგში აიყვანეს. ყოველდღიური გრიმი მათთვის დახლოებით ხუთი ათასი წლის წინ იყო ცნობილი: ისინი იყენებდნენ ფერ-უმარილს, თვალის კონტურს მწვანე ნახშირმჟავა სპილენძით იმუქებდნენ. ეგვიპტელები ცნობილნი იყვნენ ყველანაირი საღებავის, პუდრის, კრემების, საწმენდი საშუალებების დამზადების ტექნიკითაც. აქ კოსმეტიკა ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასი წლის წინ იყო ცნობილი. კოსმეტოლოგის პროფესიაც პირველად ძველ ეგვიპტეში გაჩნდა. ადამიანი, რომელიც სპეციალური საშუალებების წყალობით ეხმარებოდა ქალებს დაეფვარათ კანის დეფექტები, "კოსმეტად" იწოდებოდა.

ძველ სამარხებში ნაპოვნია ჭურჭლები კრემების, ზეთების, ნელსაცხებლების ნარჩენებით, რომელთა შედგენილობაში იყო მუშკი, ვარდის ზეთი, საკმეველი, სურნელოვანი ფისი, ასევე პინცეტები, თმის ამოსაღებად. სამარხებში მუმიების ფრჩხილები შეღებილი იყო წითლად, მწვანედ ან ვერცხლისფრად. ნაპოვნი იყო ფერ-უმარილი, შავი საღებავები წარბებისა და წამწამებისთვის. ეგვიპტელებმა გამოიგონეს განსაკუთრებული ფერ-უმარილი და საცხი რომელიც მუქი ფერის სახეს ღია-ყვითელ ფერს აძლევდა, ხოლო საოცრად მდგრადი საღებავები გამოიყენებოდა მხატვრობაში. პირველად ეგვიპტელებმა მიაკვლიეს ჭაღარა თმის შავად შესაღები საღებავის რეცეპტს - შავი ცხოველის სისხლს. მუმიის შავად შეღებილ თმებს აქამდე არ დაუკარგავს თავისი ფერი. კანის საკვებად და მზისაგან დასაცავად ეგვიპტელები სარგებლობდნენ ცხელსაფენებითა და კრემებით, რომელიც ხარისა და ცხვრის ქონის, ნუშის, შირბახტის, აბუსალათინის და ზეთისხილის ზეთებისაგან იყო დამზადებული.

ეგვიპტელი ქალებისათვის გარეგნობაზე ზრუნვა პირველხარისხოვანი საქმე იყო

უნდა აღინიშნოს, რომ კოსმეტიკით ლამაზდებოდნენ არა მარტო ქალები, არამედ მამაკაცებიც. ეგვიპტელი ქალებისათვის გარეგნობაზე ზრუნვა პირველხარისხოვანი საქმე იყო. იმ დროს ლამაზმანები იღებავდნენ თმებს, წამწამებს, წარბებს, ფრჩხილებს, ტუჩებს, ისვამდნენ პუდრას, ფერუმარილს, იცოდნენ კრემების, სახის მოვლის საშუალებების, კეთილსურნელოვანი სითხეების რეცეპტები. იცვამდნენ ლამაზად, მკვეთრი ფერებით, ატარებდნენ სხვადასხვა ვარცხნილობას. პაპირუსებში აღწერილია ეგვიპტელი ქალების ტანჯვა: თვალებს ისინი იშავებდნენ შავი ფხვნილით - **კოსმეტიკონით,** ხოლო შუბლს - შაბიამნით ან დაფქვილი მალაქიტით. იბანდნენ დანაყილი აგურით, ქვიშით, პემზით და ფერფლით (საპონი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გამოგონებული).

ჭაღარის საწინააღმდეგოდ იყენებდნენ შავი გველის ქონს, შავი ხარის სისხლს და კაჭკაჭის კვერცხებს. დალაქები ირწმუნებოდნენ, რომ კრემები, დამზადებული ლომის ქონზე, სასწაულმოქმედია, ხელს უწყობს თმის გასქელებას და ზრდას. ძალიან ფასობდა კრემები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა თევზის ქონი, ვირის ჩლიქების ფხვნილი. ეს საშუალებები ექსპორტის საგანს წარმოადგენდა და ძალიან ძვირად იყიდებოდა. ეგვიპტური რეცეპტები ნახსენებია ჰიპოკრატესთანაც, ისინი შესულია ევროპულ სახალხო მედიცინაშიც.

კლეოპატრა კანის სითეთრის შესანარჩუნებლად იყენებდა კრემს

ასეთივე მაღალ დონეზე იყო ძველად ინსტრუმენტები, რომლებსაც მაკიაჟისათვის იყენებდნენ. გათხრებისას არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია პარიკის ჩამოსაცმელები, თმის საღებავები, არომატული ესენციები, თმის ზეთები და სავარცხელი, სარკე, საპუდრე ბრინჯის ფხვნილ-პუდრათი და ბუმბულით, ფუნჯები წამწამების გასაშავებლად და ტუჩების შესაღებად, პინცეტები, პემზა და საღებავი ფრჩხილებისათვის. დედოფალ ხათშეფსუტის სამარხში აღმოჩენილი იქნა მთელი "კოსმეტიკური კაბინეტი", უამრავი ჭურჭელი არომატული ზეთებით, საღებავები, ნიღბები, მოწყობილობა თმის დასახვევად, პემზა და საღებავი ფეხის ფრჩხილებისათვის.

ცნობილია, რომ **კლეოპატრა** კანის სითეთრის შესანარჩუნებლად იყენებდა კრემს, რომლის ძირითადი კომპონენტი იყო ნიანგის დაქუცმაცებული სკორე ფერუმარილთან ერთად. თვალის ზედა ქუთუთო მუქი ლურჯი საცხით ჰქონდა შემოვლებული, ხოლო ქვედა - მომწვანო-წყლისფერით, თვალის ხაზი - გაჭიმული და დაგრძელებული.

მრავალ კოსმეტიკურ საშუალებას, დეკორატიულობის გარდა, სამკურნალო თვისებებიც აღმოაჩნდა. კლეოპატრამ წიგნიც კი დაწერა კოსმეტიკაზე და პარფიუმერული ნაწარმის ფაბრიკაც ჰქონდა.

კლეოპატრას წერილობითი რეკომენდაციების კრებული, სახელწოდებით "**მალამო კანისთვის**", თავის სწორად მოვლას ეხება. ეს წარმოადგენს რამდენიმე მეტრის სიგრძის პაპირუსს, რომელზე განთავსებული რჩევებიც კოსმეტიკის სამყაროში დღესაც პოპულარობით სარგებლობს, თუმცა, ეს რჩევები მაინც ზოგადია და მიზნად ისახავს ქალბატონებისთვის თავის მოვლის შესახებ ელემენ-ტარული ინფორმაციის მიწოდებას. აი, რამდენიმე რჩევა:

- "თმები უფრო სქელი გვექნება, თუ გამოვიყენებთ წვრილად დაჭრილი ღორის ქადასგან (მცენარეა) მომზადებულ ნიღაბს;
- შავი გაზელის (ცხოველია) დანაყილი რქებისა და ზეითუნის ზეთის ნარევი კარგია საფეთქლებთან გაჩენილი ჭაღარისა-თვის. რქა შეგვიძლია შევცვალოთ ვირის ღვიძლით.
- სხეულიდან არასასურველი თმების მოსაშორებლად საჭირო პასტის მომზადების წესი: ფრინველის სკორეს შევურიოთ წვრილად დაქუცმაცებული ცხოველის ძვლები, ნეკერჩხლის წვენი, მუხის ფისი და გახეხილი კიტრი".

ახლა ნათელია, რატომ თვლიან კლეოპატრასა და ნეფერტიტს არაჩვეულებრივად ლამაზებად - ეს იყო ბუნებრივი სილამაზე, გამაგრებული კოსმეტიკით.

კოსმეტიკას პროფილაქტიკური თვისებებიც ჰქონდა. მაგალითად, საღებავი ქუთუთოებისათვის, იცავდა მათ მზითა და ქარით გამოწვეული გაღიზიანებისაგან, აჯანსაღებდა კანს, თავისი სუნით უკუაგდებდა მწერებს, იცავდა დაავადებებისაგან. ჩვენთვის კარგად ცნობილი ლოყის საცხი პირველად ეგვიპეტში გამოყენებული იყო როგორც თვალის დაავადებების პროფილაქტიკური საშუალება. ზედა ქუთუთოების გასაშავებლად მამაკაცები და ქალები იყენებდნენ გოგირდოვან ტყვიას, ხოლო ქვედას ღებავდნენ მალაქიტის მწვანით, რომელიც იმავდროულად გამოიყენებოდა ტრაქომის - თვალის გადამდები დაავადების სამკურნალოდ. სპი-ლენძის სულფატის ან კარბონატის ხსნარი ტრაქომის საწი-ნააღმდეგო ერთადერთ საშუალებად ითვლებოდა 5 ათასი წლის განმავლობაში, ანტიბიოტიკების გამოჩენამდე. ეგვიპტეში იყენებდნენ სხვადასხვა ბალზამსა და ზეთებს არა მხოლოდ მწერების საწინააღმდეგოდ, არამედ შენობებში სასიამოვნო სუნისათვისაც.

"ეგვიპტელების მიერ ტყვიით დამზადებულ საღებავებს ანტისეპტიკური თვისებები ჰქონდა, რომლებიც ადამიანს იმ დროს გავრცელებული ბაქტერიებისგან იცავდა" - ნათქვამია ამერიკის ქიმიური საზოგადოების მიერ გამოცემულ ჟურნალში "Analytical Chemistry". "ასეთი მძლავრი საზოგადოების ამშენებლები მთლად

"ეგვიპტელების მიერ ტყვიით დამზადებულ საღებავებს ანტისეპტიკური თვისებები ჰქონდა, რომლებიც ადამიანს იმ დროს გავრცელებული ბაქტერიებისგან იცავდა"

"Analytical Chemistry"

შეშლილები არ უნდა ყოფილიყვნენ" - ამბობს ქიმიკოსი და ერთ-ერთი ნაშრომის ავტორი კრისტიან ამატორე, - "არადა მათ სწამადთ, რომ სახის მოხატვას სამკურნალო მნიშვნელობა ჰქონდა. საღებავების შეზავებისას ისინი შელოცვებს წარმოთქვამდნენ, ეს კი სწორედ ის არის, რასაც დღესდღეობის დრომოჭმულს ვუწოდებთ".

ლუვრში სპეციალურ ჭურჭელში შენახული ეგვიპტური კოსმეტიკის 52 ნიმუში აღმოაჩინეს

დოქტორმა ამატორემ და მისმა თანამშრომლებმა ელექტრონული მიკროსკოპიისა და რენტგენული დიფრაქციის მეშვეობით ლუვრში სპეციალურ ჭურჭელში შენახული ეგვიპტური კოსმეტიკის 52 ნიმუში გამოიკვლიეს. აღმოჩნდა, რომ კოსმეტიკური ნივთიერებები ტყვიაზე დამზადებულ 4 ძირითად კომპონენტს შეიცავდა: გალენიტს (იგი მუქი ტონისა და ბზინვარების ეფექტს იძლეოდა) და თეთრ ნივთიერებებს - ცერუსიტს, ლაურიონიტს და ფოსგენოტს.

იმის გამო, რომ ნივთიერებები საუკუნეების განმავლობაში დაიშალა, მკვლევარებმა ამ კოსმეტიკურ ნაშრომში ტყვიის შემცველობის პროცენტული განსაზღვრა ვერ მოახერხეს.

"იმ ეპოქის უამრავი ტექსტი, მხატვრობა და ქანდაკება ეგვიპტეში კოსმეტიკის საყოველთაო მოხმარებაზე მიუთითებს, მაგრამ ეგვიპ-ტელები კოსმეტიკას სამედიცინო კუთხით კი არ განიხილავდნენ, არამედ ჯადოსნურ თვისებებს მიაწერდნენ" - ამბობს დოქტორი ამა-ტორე.

დოქტორ ამატორეს აზრით, ტყვიის ტოქსიკური შემცველობა მის სასარგებლო თვი-სებებს ბევრად აღემატება.

ძველ ეგვიპტეში, ნილოსის ადიდების პერიოდში, თვალის ინფექცია და ანთება ვრცელდებოდა, მკვლევარების მტკიცებით, ტყვიით შეზავებული კოსმეტიკა იმ ტოქსინის ფუნქციას ასრულებდა, რომელიც ბაქტერიას მის გავრცელებამდე კლავდა. მაგრამ იმავე მეცნიერების აზრით, რომლებიც ძველთაძველი კულტურის საიდუმ-ლოებებში გვახედებდნენ, ამ კოსმეტიკის ხმარება დღესდღეობით უპრიანი არ არის.

დოქტორ ამატორეს აზრით, ტყვიის ტოქსიკური შემცველობა მის სასარგებლო თვისებებს ბევრად აღემატება. ტყვიის გამოყენებისას კოსმეტიკაში ან საწარმოებში, მოწამვლის მრავალრიცხოვანი ფაქტი XX საუკუნეშიც არსებობს.

ქიმიური უსაფრთხოების, ჯანდაცვის უსაფრთხოების, გარემოს დაცვის საკონსულტაციო ფირმის (Advanced Chemical Safety) პრე-ზიდენტი, ფიზიკოს-ქიმიკოსი ნილ ლინგერმანი ამბობს, - "შინ მაინც უნდა ვერიდოთ ამის გაკეთებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ გყავთ მცირეწლოვანი ბავშვი ან ძაღლი, რომელსაც თქვენი ლოკვა სჩვევია".

მიუხედავად ამისა, დოქტორი ლინგერმანი ამბობს, რომ ეგვიპტე-ლები ტყუილად არ ეტანებოდნენ ტყვიის მინარევებს. "ტყვია და დარიშხანი, სხვა ლითონებთან ერთად ულამაზეს ფერად პიგმენ-ტებს იძლევა" - ამბობს იგი, "მათგან ფხვნილის გაკეთება შეიძლება

და გასაკვირი არ არის, რომ სხეულისათვის ლამაზი შეფერილობის მისაცემად ეს მეთოდი გამოიყენებოდა".

ტყვიის შემცველობა კოსმეტიკურ საშუალებებში დღემდე დებატების საგანია, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, ზოგიერთი სახეობის პომადაში ტყვიის მცირე შემცველობას.

მოწინააღმდეგეთა ჯგუფი, მათ შორის ექიმებიც, ამტკიცებენ, რომ პომადის მომხმარებლები იწოვენ გარკვეული რაოდენობის ტყვიას, რაც შემდეგ ბიჰევიორალურ პრობლემებში შეიძლება გადაიზარდოს. "Food end drag"-ის მესვეურები კი ამტკიცებენ, რომ ტყვიის შემცველობა კოსმეტიკაში ფრიად უმნიშვნელოა და საფრთხეს არ უნდა წარმოადგენდეს. "საქმე დოზებშია", ამბობს დოქტორი ლინგერმანი, რითაც რენესანსის ეპოქისდროინდელი ექიმის - პარაცელსის სიტყვების პერიფრაზს აკეთებს - "მცირე დოზა ბაქტერიას კლავს, დიდმა დოზამ კი შესაძლოა, თქვენ მოგიღოთ ბოლო".

მაკიაჟის ხელოვნება ეგვიპტიდან იღებს სათავეს.

თუ მხოლოდ რამდენიმე წლის წინ კოსმეტიკური პრეპარატები პრაქტიკულად მთლიანად ქიმიური ნივთიერებებისაგან იყო დამზადებული, ამჟამად პირიქით, ყველა ცნობილი და ანგარიშგასაწევი კომპანია სულ უფრო და უფრო მეტად იყენებს ბუნების ნატურალურ პროდუქტებს.

ეგვიპტეში კოსმეტიკის გამოყენების უტყუარი დადასტურებაა ეგვიპტის დედოფლის - ნეფერტიტის ქანდაკება. მას გულმოდგინედ აქვს მოხატული სახე, თვალები, დაგრძელებული წამწამები, ლამაზად აწეული შეღებილი ტუჩები.

ეგვიპტეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ აგრეთვე თმის მოვლას. ცნობილი იყო თმის გამამაგრებელი კრემები, დასაბანი საშუალებები, სამაგრები.

მაკიაჟის ხელოვნება ეგვიპტიდან მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

რომაელმა ქალებმა კოსმეტიკის ფართოდ გამოყენება ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში დაიწყეს. წამწამებისა და ქუთუთოების ტუშად გამოიყენებოდა სტიბიუმი, ცარცი სახეს აუცილებელ სითეთრეს სძენდა. ამ დროს დაიწყეს თმის მოსაცილებელი საშუალებების გამოყენებაც. პემზით იხეხავდნენ კბილებს და თმებს იღებავდნენ ინით.

რენესანსის ეპოქაში მათეთრებელი საშუალებების გამოყენება კოსმეტიკაში სახიფათო იყო ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის. როგორც ცნობილია, იმ პუდრის შემადგენლობაში, რომელიც ***სინიორა ტოფანამ*** გამოიგონა (ეს ქალბატონი ცნობილია, როგორც შხამის გამომგონებელი. ამ შხამით დაიხოცა მოღალატე ქმრების დიდი რაოდენობა), შედიოდა დარიშხანი. მაგრამ სინიორა აფრთხილებდა ყველა კლიენტს, რომ ამ

კოსმეტიკის გამოყენება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა - მაგალითად, პარტნიორის ცდუნებისას.

კოსმეტიკა პოპულარული იყო ძველი ებრაელებშიც

კოსმეტიკა ძირითადად ბუნებრივ კომპონენტებს შეიცავდა - ბალახებს, კენკრას, წყალს, მაგრამ არც თუ იშვიათად აფთიაქარები, რომლებიც მორიგ კოსმეტიკურ საშუალებას ამუშავებდნენ, მას უმატებდნენ ვერცხლისწყალს და აზოტმჟავას. ახლა გასაგებია, საიდან გაჩნდა ანდაზა: "სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს", ეს ნივთიერებები ხომ სახიფათოა სიცოცხლისათვის.

კოსმეტიკა პოპულარული იყო ძველ ებრაელებთანაც. მათ განსაკუთრებით მოსწონდათ სასიამოვნო სუნის კრემები და მოსაწევი საშუალებები, რომლებიც თავდაპირველად რელიგიურ კულტს ემსახურებოდა, ხოლო შემდეგ ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრდა. ზეთებს ამზადებდნენ სურნელოვანი ფისის, დარიჩინის და სხვა მცენარეებისაგან და ამ ზეთებით იზელდნენ ტანს. გლოვის დროს მათზე უარს ამბობდნენ.

შემორჩენილია ცნობები, რომ ასირიელი ქალები ტანს სურნელოვანი სითხით იზელდნენ, სახეს განსაკუთრებული ნარევით იფარავდნენ, იშავებდნენ წარბებსა და წამწამებს, სქლად ისვამდნენ ფერუმარილს და ლოყის საცხს; მამაკაცები ატარებდნენ მიწებებულ წვერებს, იკეთებდნენ გრიმს და ისხავდნენ სუნამოს.

ინდუსები იშავებდნენ წარბებს და იღებავდნენ ფრჩხილებს, სახესა და კისერზე ისვამდნენ ფერუმარილს, იღებავდნენ ლოყებს და წამწამებს, ყავისფრად იღებავდნენ კბილებს.

რომში კოსმეტიკას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ სენატი იძულებული გახდა მიეღო კანონი, რომელიც ზღუდავდა კოსმეტიკური საშუალებების შემოტანას სხვა ქვეყნებიდან (ეგვიპტე, ჩინეთი, არაბეთი), რადგან ეს მძიმე ტვირთად აწვებოდა ქვეყნის ხაზინას.

ქრისტიანული ეკლესია მეტად უარყოფითად ეკიდებოდა გარეგნობის ნებისმიერ ცვლილებას და კოსმეტიკის მომხმარებელ ქალებს მკრეხელობაში ადანაშაულებდა. გამოცემული იყო კანონი, რომელიც არ ცნობდა ქორწინებას, თუ ქალი თავის ნაკლოვანებებს კოსმეტიკით ფარავდა. ასეთ ქალებს ჯადოქრობაში ადანაშაულებდნენ.

პუდრა მოდაში XVII საუკუნეში შემოვიდა

XVII საუკუნეში მოდაში შემოვიდა პუდრა. მას ისვამდნენ სახესა და თმებზე როგორც ქალები, ისე მამაკაცები.

მამაკაცის კოსმეტიკაზე მოდამ XVII საუკუნემდე გაძლო.

ვიქტორიანულ ეპოქაში, ინგლისში კოსმეტიკის გამოყენება მდარე გემოვნების გამოხატულება იყო, ამიტომ ფერუმარილიან მსახიობს მეძავს უწოდებდნენ.

XVIII საუკუნის შუახანებში მოდაში შემოვიდა ფერუმარილი და პომადა, რომელიც, როგორც ფრანგი ლამაზმანები ვარაუდობდნენ, სახეს უფრო ჯანმრთელ ფერს აძლევდა.

უკვე საუკუნის შუაწლებში მოდად იქვა მკრთალი ფერის სახე, რომელიც სიმდიდრის ნიშნად ითვლებოდა, ხოლო ღაჟღაჟა ლოყები - მსუბუქი ყოფაქცევის ქალებში იყო პოპულარული.

XVIII საუკუნის ბოლოს ადამიანებმა უკვე გააცნობიერეს კოსმეტიკაში გამოყენებული მრავალი ნივთიერების ტოქსიკურობა: ტყვიის (კერძოდ ტყვიის ფერუმარილის), ვერცხლისწყლის, დარიშ-ხანის. ამ პერიოდიდან კოსმეტიკა სპეციალურ ფარდულებში იყიდე-ბა. იწყება პარიზელი პარფიუმერების ეპოქა. თანდათან ხდებოდა კოსმეტიკური საშუალებების არა მარტო ევოლუცია, არამედ იცვლებოდა მათდამი დამოკიდებულებაც.

"იუჯინ რიმელი" - პირველი კომპანია, რომელმაც გამოუშვა ტუში წამწამებისათვის

პირველი კომპანია, რომელმაც XIX საუკუნეში გამოუშვა ტუში წამწამებისათვის, იყო "იუჯინ რიმელი". Rimmel ითარგმნება, როგორც "ტუში" პორტუგალიური, თურქული, რუმინული და სხვა ენებიდან. პირველი თანამედროვე ტუში (1913 წელს) თავისი დის - მაბელისთვის (Mabel) შექმნა ქიმიკოსმა უილიამსმა და ის ნახშირისა და ვაზელინის ნარევს წარმოადგენდა. მაბელის სახელისა და ტუშის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის - ვაზელინის (Vaseline) შეერთებით წარმოიშვა ერთ-ერთი წამყვანი კოსმეტიკური კომპანიის - "Maybelline"-ის სახელწოდება. ტუშის შეფუთვას თანამედროვე ფორმა (ტუბი) მხოლოდ 40 წლის შემდეგ მიეცა, ელენე რუბინშტეინის წყალობით.

რა თქმა უნდა კოსმეტიკის ინდუსტრიის ნამდვილი დაბადება XX საუკუნის 20-აინი წლებში მოხდა, ქიმიის განვითარებასთან ერთად. კოსმეტიკა მასიურად მზადდებოდა და იყიდებოდა. მის ნამდვილ მუზებად ჰოლივუდელი ვარსკვლავები იქცნენ. სწორედ კინოს მეშვეობით გახდა პომადა "წითელი კოცნა" კოსმეტიკის ლიდერი და XX საუკუნის 30-იან წლებში არნახულ წარმატებას მიაღწია. ამავე დროს **ძმებმა რევზონებმა და ჩარლზ ლეჩმანმა** გამოიგონეს მდგრადი ლაქი ფრჩხილებისათვის "Revlon Red", რომელიც პოპულარული გახდა ამერიკის გარეთაც. გამოვიდა ამავე სახელწოდების პომადაც. 40-იან წლებში ჰოლივუდელი მსახიობების გრიმიორი მაქს ფაქტორი უშვებს ტონალური კრემების პირველ ხაზს. მანვე გამოიგონა საცხი ტუჩებისათვის ბრწყინვალების მისაცემად და პომადის სხვადასხვა შეფერილობა. თავდაპირველად ისინი საპონზე მზადდებოდა და კანს აშრობდა. შემდეგ ჩნდება წამწამების ასაპრეხი საშუალებები. იმავდროულად, კოსმეტიკის შეფუთვა უკვე დიზაინერების ყურადღებისა და საქმიანობის საგანი ხდება.

ჩვენს დროში, ახალ საუკუნეში, ახალ ათასწლეულში, წარმოუდგენელია სიცოცხლე კოსმეტიკის გარეშე. განუწყვეტლივ მიმდინარეობს კვლევა კოსმეტიკის სფეროში, ხოლო თანამედროვე კოსმეტიკა ერთმანეთს უთავსებს პროგრესის რევოლუციურ მიღწევებსა და ნატურალური და მცენარეული ნივთიერებების აქტიურ კომპონენტებს.

ქალი კოსმეტიკის გარეშე, იგივეა, რაც საკვები უმარილოდ"

პლატონი
(254-184 წწ. ჩ.წ.ა).

სპეციალისტები მუდმივად სრულყოფენ დეკორატიულ კოსმეტიკას. ამჟამად სამკურნალო კოსმეტიკის დამამზადებელ ფირმებს შორის ლიდერობს გერმანული ფირმა "Nivea".

დღევანდელ პირობებში, ქალებს მთელს მსოფლიოში კოსმეტიკური საშუალებების ფართო არჩევანი აქვთ. ჯერ კიდევ რომაელი ფილოსოფოსი **პლატონი** (254-184 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) წერდა: "ქალი კოსმეტიკის გარეშე, იგივეა, რაც საკვები უმარილოდ".

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ კოსმეტიკის თანამედროვე ისტორია მოიცავს და სათანადო ადგილზე აყენებს კოსმეტიკის პრინციპებს, რომლებიც ძველ მსოფლიოში (პირველ რიგში – თმისა და კანის მოვლა) და შუა საუკუნეებში ("სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს") ჩამოყალიბდა.

ქართველი ხალხის ჰიგიენური კულტურის მაღალი დონის ერთ-ერთ საბუთად არქეოლოგიური გათხრების შედეგად საქართველოში (ძალისა, არმაზისხევი, მზორეთი, ურბნისი) აღმოჩენილი უძველესი აბანოებია მიჩნეული.

"ვარდის წყლის აბანო" ვეფხისტყაოსანშიც არის ნახსენები

აბანოებს ჰიგიენურ-პროფილაქტიკურის გარდა სამედიცინო დანიშნულებაც ჰქონდა, რადგან ზოგან სამკურნალო წყლითა და ტალახით მკურნალობდნენ.

აღსანიშნავია, რომ "ვეფხისტყაოსანში" ნახსენებია "ვარდის წყლის აბანო": "ხშირად ესხნა მარგალიტი ვარდის წყლისა აბანოსა". ეს აბანო, სავარაუდოდ, მაღალი წრის წარმომადგენელთათვის იყო განკუთვნილი.

არქეოლოგიურ მასალებს შორის მრავლადაა აბანოს ინვენტარი (I-IV სს.), კოსმეტიკური იარაღ-ჭურჭელი (II ს.), სანელსაცხებლე ნედლეული - ფერუმარილი, სანელსაცხებლე ბოთლები, სადაფის ნიჟარა, ილარი, ჩოფი, მერდგინის საცერი. ზოგიერთი მათგანი წააგავს ყოფაში დღემდე შემორჩენილ სანელსაცხებლე ინვენტარს.

ანტიკური ეპოქისაა ცნობები კოლხი მედეას სამკურნალო-კოსმეტიკურ ლაბორატორიაზე, სადაც ხდებოდა მცენარეთა შეზავება სამკურნალოდ. მედეამ პირველმა იპოვა ისეთი ყვავილი, რომლითაც თეთრ თმას შავად იღებავდნენ. მასვე მიეწერება ადამიანის "გაახალგაზრდავების" ანუ ბუნებრივი საშუალებებით კანის მოვლის კოსმეტიკური რეცეპტების შემუშავება. დადგენილია,

დასავლეთ საქართველოში არსებობდა "სამკურნალო მცენარეთა წალკოტი", ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ამგვარი "წალკოტი" კასპის რაიონის სოფელ წინარეხში მდებარეობდა.

რომ დასავლეთ საქართველოში არსებობდა "სამკურნალო მცენარეთა წალკოტი", ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ამგვარი "წალკოტი" კასპის რაიონის სოფელ წინარეხში მდებარეობდა. ქართული ხალხური ჰიგიენის მდიდარი არსენალი ეროვნული კულტურის ორგანული, განუყოფელი ნაწილია. ხალხური ჰიგიენა სხვადასხვა სახის პირად ჰიგიენურ საშუალებებთან ერთად მოიცავს საოჯახო ყოფის ყველა სფეროში მოქმედ უძველეს სანიტარიულ წესებს, რომლებიც მსოფლიოს მრავალი ხალხის კულტურაში უხვადაა შემონახული.

საქართველოში არსებობდა სხეულის ჰიგიენის დაცვის თავისებური რეჟიმი: ყოველდღიური, ყოველკვირეული და სადღესასწაულო. ყოველდღიური ჰიგიენური რეჟიმი გულისხმობდა მუშაობის დროს სავალდებულო წესებს.

ძველად სოფლის მოსახლეთა უმრავლესობას ეზოში წყალი არ ჰქონდა. პირადი ჰიგიენის დასაცავად და საოჯახო მოთხოვნილებისათვის ჭის, წვიმის, წყაროსა და მდინარის წყალი გამოიყენებოდა. ხალხში გავრცელებული იყო რწმენა თმის მოსავლელად "7 მაისის წვიმის წყლის" განსაკუთრებული სარგებლობის შესახებ. სწამდათ, რომ "7 მაისის წვიმის წყალი" ხელს უწყობდა თმის ზრდას, მის სიხშირეს. ხშირი თმა განსაკუთრებით ფასობდა. ხალხში შემონახულია ცოდნა "შვიდი მაისის წვიმის წყლით" მომზადებული მრავალნაირი მცენარის სამკურნალოდ გამოყენების შესახებ. 7 მაისს ახალმოკრეფილი ბალახებით, მცენარეთა ფოთოლ-ყვავილებით შეზავებული და შემთბარი წვიმის წყლით თმასა და სხეულს იბანდნენ. ასეთი ნაზავი "თმას ზრდიდა და კანს ალამაზებდა, ჯანმრთელობისთვისაც კარგი იყო ". ეს დღე "დიდ და ძლიერ დღედ" ითვლებოდა. წვიმის მოსვლა თითქოსდა ემთხვეოდა შვიდ მაისს, როცა საქართველოში სხვადასხვა დღეობა იმართებოდა. ასეთი იყო, მაგალითად, "შვიდმაისობა" ქსოვრისში (მცხეთის რაიონი), შილდაში (ყვარლის რაიონი). მესხეთ-ჯავახეთში სწამდათ, რომ შვიდ მაისს შვიდჯერ უნდა იწვიმოს. ხალხი ამბობდა: "ნეტარება იმას, ვინც ამ წყალს შეაგროვებს და ნეტარება იმ მინდორ-ველს, სადაც ეს წვიმა მოვა"; საქართველოს გარდა, მაისის წვიმისა და ცვრის განსაკუთრებული გამანაყოფიერებელი ძალის რწმენა ევროპისა და აზიის ხალხთა კულტურაშიც დასტურდება.

საოჯახო ჰიგიენის აუცილებელი შემადგენელია სარეცხის რეცხვა, რისთვისაც თავსაბან მიწას, საპონსა და "ნაცარწმენდილს" იყენებდნენ. სარეცხს ოჯახის უფროსი დიასახლისი რეცხავდა, გასაფენად ღობეებს იყენებდნენ. თავად-აზნაურებს საგანგებო მრეცხავები ჰყავდათ. გარეცხვას უკავშირდებოდა რიგი აკრძალვა: მაგალითად, ღამით, უქმე და სამარხვო დღეებში გარეცხვა-გაფენა იკრძალებოდა.

ჰიგიენურ წესებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი თმის მოვლას უჭირავს, რომელსაც ჰიგიენური და ესთეტიკური ფუნქცია, ხშირ შემთხვევაში კი, მაგიურ-რელიგიური დატვირთვაც აქვს. თმის მოვლა გულისხმობს ვარცხნილობისა და თავდახურვის წესების დაცვასაც.

გათხოვილი ქალისათვის თავდახურვა აუცილებელი იყო. თმის ჰიგიენაში იგულისხმებოდა დაბანა, შეღებვა და მკურნალობა. თმას იბანდნენ კვირაში ერთხელ, ძირითადად, სამშაბათს ან ხუთშაბათს. ეს დღეები ითვლებოდა "ბედნიერ დღეებად". თმის დასაბანი საშუალებები პირობითად შეიძლება გაიმიჯნოს მარტივად და რთულად. თმის დასაბანი მარტივი საშუალებებია:

1. ნაცარწმენდილი (ნაცარტუტა, ნაცრისთვალი, ნაცარწმული, ნაცრისძალი) ყველაზე დაბალი ხარისხის დასაბან, გასარეცხსა და შესაღებ საშუალებად ითვლებოდა. მას ღარიბი და შეჭირვებული ადამიანი იყენებდა. ნაცარწმენდი-ლით იღებავდნენ ქერა, ღია ფერის თმას, მუქსა და თეთრ თმას კი იგი მხოლოდ ერთგვარ შეფერილობას აძლევდა. ნაცარი ავი სულების საწინააღმდეგო საშუალებადაც ითვლებოდა;
2. მარილწყალი. თმის დასაბანად გამოიყენებოდა მარილით გაჯერებული წყლის ნაზავი;
3. ნახადის წვენი, არყის ქაფი.
4. მახოხი. ხაშით აფუებული, მოზელილი და დამუავებული ცომის ნაჟური (იგულისხმება ცომზე წყლის დასხმა);
5. ტყემალი, ტყემლის ნახარში და მისგან დამზადებული ტყლაპი და
6. რძე და რძის ნაწარმი (დო, მაწონი, არაჟანი, შრატი).

ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებები, ნაცარწმენდილისა და მარილწყლის გარდა გამოიყენებოდა როგორც თმის დასაბანად, ასევე სახის გასაწმენდად. თმის დასაბანი რთული საშუალებები კი საპონი და თავსაბანი მიწაა.

საპონს საქართველოში უძველესი დროიდან იყენებდნენ

საპონს საქართველოში უძველესი დროიდან იყენებდნენ. მისი დამზადების წესები დღემდეა შემონახული. იშვიათად, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩნენ ე.წ. საპნის დამამზადებელნი, რომლებიც უპირატესობას "შინა საპონს" ანიჭებენ. საპნის დამზადების ერთ-ერთი ხერხი აღწერილია ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში: "საპონი – კუმპა, ქონი მოდუღებული და გამხმარი სარეცხად".

ყოფაში დასტურდება საპნის ორი სახეობა - ტუალეტისა (პირსაბანი) და საოჯახო საპნები, რომლებსაც სხვადასხვანაირად ამზადებდნენ: არსებობდა შინაური ფრინველების ცხიმისაგან ნამზადი საპნები,

საპონი უძველეს ჰიგიენურ საშუალებადაა მიჩნეული სამედიცინო წიგნებსა და კარაბადინებში.

საოჯახო-სარეცხი დანიშნულების საპნები კი ძირითადად მსხვილფეხა საქონლის ცხიმისაგან მიიღებოდა. სოფლად საკუთარი მოხმარებისათვის შინ ნამზადი საპონი გამოიყენებოდა, იყიდებოდა ისინი "მეწვრილმანეებთან და სასოფლო ბაზრობებზეც". საპონს თბილისის აბანოებშიც ხარშავდნენ. მას პატარძალს მზითვშიც ატანდნენ.

საპონი უძველეს ჰიგიენურ საშუალებადაა მიჩნეული სამედიცინო წიგნებსა და კარაბადინებში ("უსწორო კარაბადინი", "წიგნი სააქიმოი", "იადიგარ დაუდი", "სამკურნალო წიგნი - კარაბადინი"). ტერმინ საპონს განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი: "საპონი (საპოვნი) ფრანგულია. ქართულად წერილით შენაზავები და განსაწმენდელი ეწოდების, ხოლო სოფლურად - კუმპა". ტერმინი კუმპა დღემდე გვხვდება ყოფაში.

ტერმინ საპონში თავისთავად იგულისხმება მისი დამზადებისას გამოყენებული სხვადასხვა ბალახოვანი მცენარე: საპონა, საპონელა, ყოჩივარდა, ქაფუნა, ხელსაბანი, კალია, თავსაბანი მიწა, რომელთაც ახასიათებს აქაფების თვისება. ზემოთ ჩამოთვლილი საპნები განეკუთვნება "მდელო მრეცხელთაის", ე.წ. ბალახოვან საპ-ნებს. აღნიშნული ტერმინი მოცემულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში: "მდელო ესე არს ყოველივე მწვანვილი ველისა... ვითარცა მდელოი მრცხელისა არა რა სხვაა, რამეთუ მდელონი არიან, რომელნი განასპეტაკებენ სარცხელსა, მდელოი ეწოდების საპოვნსა... ვითარცა მდელოი მრცხელისა... რომელი განასპეტაკებს შარსა და ხამთა ტილოთა, რეცა საპონთა სახელი მისდა უწოდებიეს ბალახი".

ამდენად, საპონი ზოგადი სახელია იმ ჰიგიენური საშუალებებისა, რომლებიც სხვადასხვა ნედლეულისაგან მზადდებოდა:

1. ბალახებისა და მცენარეებისგან;

2. თიხა-მინერალებისაგან;

3. ფრინველთა და ცხოველთა ცხიმებისაგან.

დასაბანი რთული საშუალებაა თავსაბანი მიწა, რომელიც გუმბრინის სახელითაა ცნობილი. თავსაბანი მიწა თითქმის მთელ საქართვე-ლოშია გავრცელებული და სხვადასხვა ფერისაა: თეთრი, წითელი, ლურჯი. იგი ძირითადად ოჯახში მზადდებოდა და როგორც სოფლად, ისე ქალაქად "მეწვრილმანეებთან" იყიდებოდა. თავსაბანი მიწის დამზადების წესი ასეთია: მიწის ერთ ნაწილს გახსნიდნენ წყალში და მიღებულ ფაფისებურ მასას ახმობდნენ მზეზე "გუნდებად" ან "კალაპოტებად". დაბანის წინ მას წყალში გახსნიდნენ, ააქაფებდნენ, როგორც საპონს. სცოდნიათ თავსაბანი მიწის ღვინოში დალბობაც. ის სასიამოვნო ბზინვარებას აძლევდა თმას, აქრობდა ქერტლს, შველოდა თმის ცვენას. თავსაბანი მიწა

დამოწმებულია "უსწორო კარაბადინში". ხალხი მას "მიწის საპონსაც" ეძახდა. გარდა ჰიგიენურისა, მას სამედიცინო დანიშ-ნულებაც ჰქონდა. ასევე იხმარებოდა საღებავად. ცნობილია, რომ ქართული "ლურჯი სუფრის" მოხატვისას თავსაბანი მიწა გამოიყენებოდა.

ლეგენდის თანახმად, მესხეთის ერთ-ერთ ციხეში ომიანობის დროს ინახებოდა არა მხოლოდ იარაღისა და სურსათ-სანოვაგის, არამედ წყლისა და თავსაბანი მიწის ანუ საპნის მარაგიც.

ჰიგიენის დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი საშუალება აბანოა.

აბანოები ქალაქური ყოფისთვისაა დამახასიათებელი. ისინი, ძირითადად, მოსახლეობის მაღალი წრისათვის იყო განკუთვნილი და ხელმისაწვდომი. აბანოებში, გარდა ჰიგიენურ-სამკურნალო პროცედურებისა, სახის კოსმეტიკასაც მისდევდნენ: "აქ ისვამდნენ ფერ-უმარილს, იქნიდნენ და იხატავდნენ წარბებს, იღებავდნენ ფრჩხილებსა და თმას".



ქართულ პერიოდიკაში დაცული ცნობების თანახმად, გარდა დაბანისა და სარეცხის რეცხვისა, აბანოში თმას იღებავდნენ და საპონს ხარშავდნენ. აბანო საქართველოში ძირითადად ორი სახის იყო: სამკურნალო-ჰიგიენური და სამკურნალო. სულხან-საბა ორბელიანი აბანოს "სახლ დასაბანელს" უწოდებს. "თურმე წესი იყო კაცისა მის, სადაც ვის უცხოს ჰნახვიდეს თვისსა მოიყვანდეს, აბანის, შემოსის, საბოძვარ მისცეს და განუტევის".

აბანოები ძირითადად ისეთ ადგილებში შენდებოდა, სადაც თავდაპირველად სამკურნალო წყალი იყო. ასეთებია ნუნისი, გორიჯვარი და მრავალი სხვ. მათ შორის ცნობილია თბილისური აბანოებიც.

არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ თბილისის ტერიტო-რიაზე ჯერ კიდევ VI-V ათასწლეულებში ყოფილა დასახლება. სავარაუდოა ისიც, რომ მისი პირველი მაცხოვრებლები სწორედ აბანოთუბნის ანუ თბილისის თბილი წყლების ტერიტორიაზე სახლობდნენ. XVIII საუკუნეში თბილისში იყო ე.წ. გრილი, ორბე-ლიანის, ერეკლეს, ბებუთას (ბებუთოვის) და სხვათა აბანოები. XIX საუკუნეში ქალაქში უკვე ათამდე აბანო მოქმედებდა.



აბამოები თბილისში

"აბანოების წყალი გოგირდიანი და ძალიან ცხელია. კარგად მყოფების გარდა, აქ ბანაობენ სნეულები"

ჟან შარდენი,
ფრანგი *მოგზაური*
XVIII ს

საქართველოში ჩამოსული უცხოელები გაოცებული იყვნენ თბილისური აბანოების სამკურნალო თვისებებით.

XVIII ს-ში ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი წერდა თბილისის აბანოებზე: "აბანოების წყალი გოგირდიანი და ძალიან ცხელია. კარგად მყოფების გარდა, აქ ბანაობენ სნეულები". მისი თანამემამულე ქალი დერიკა ფონ ფრეიგანი თავის ჩანაწერებში აღნიშნავს: "თბილისის აბანოები საუცხოოა, ცხელი წყალი გადმოჩ-ქეფს კლდიდან აუზებში. წყალი შეიცავს დიდი რაოდენობით გოგირდს. სამკურნალოა რევმატიზმის, ნეკრისის ქარის, სირსველისა და ჭრილობის მოსარჩენად".

წერილობით წყაროებში საინტერესო ცნობებია დაცული აბანოების შესახებ: "აბანოს შენობები აგურისაა, ყრუკედლებიანი, გუმბათოვანი სახურავით. ცენტრში მრგვალი ან ოთხკუთხედი სარკმლით შუქისათვის. შიგნით აბანოების იატაკი მოპირკეთებულია ფოროვანი ქვის თლილი ფილებით. ზოგიერთ მათგანში იყო ე.წ. განსაკუთრებული ნომრები. ეს ნომრები გამოირჩეოდა კეთილმოწყობილი მარმარილოს აბაზანებით. ტანსაცმლის გასახდელ ოთახში იატაკი მოფენილი იყო ხალიჩით, მერხებზე იდო ფერადი, მაუდგადაფარებული ლეიბები. თავთან მუთაქები,

კედლებზე გაკრული იყო უბრალო შპალერი. წინ კედელთან იდგა მაგიდა სარკით, სურა წყლით, ჭიქა და ლამფა. ასეთ ნომერში ერთი საათი ბანაობა ერთი მანეთი ღირდა..".

ისტორიკოსების ცნობით, ძველ თბილისელთა ყოფა-ცხოვრებაში აბანო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ის არა მარტო ჰიგიენურ-სამკურნალო დაწესებულება იყო, არამედ შეხვედრებისა და დროსტარების ადგილიც. თბილისის მკვიდრნი აბანოში კოლექტიურად მიდიოდნენ. მთელ დღეს იქ რჩებოდნენ და ზოგჯერ ქეიფსაც იქ მართავდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ აბანოში საპატარძლოს, გასათხოვარ ქალს მუშტრის თვალით სინჯავდნენ სასიძოს ახლობლები, მაჭანკლები. ბევრი ახალგაზრდა ქალის ბედი გადაწყვეტილა აბანოში. აქ ბევრი მშვენიერი მანდილოსანი გაბედნიერებულა. აბანოში წასვლა მართლაც ერთგვარი რიტუალი იყო. მდიდარი ქალბატონები ამ დღისთვის სპეციალურად ემზადებოდნენ. თბილისში "ქალების დღე" იყო სამშაბათი და ოთხშაბათი. "სათანადო მომზადების შემდეგ ქალბატონები გარეთ გამოდიოდნენ თავიანთი მოახლეებით, მსახურებით გარშემორტყმულნი. პროცესიას წინ მიუძღოდა ბიჭი, რომელსაც სხვა მსახურებივით ფუთა მიჰქონდა თან. როგორც კი აბანოში შევიდოდნენ, ბიჭს გაუშვებდნენ. ქალები კი გასახდელში ხალიჩას გაშლიდნენ და ზედ ქალბატონის საჭირო ნივთებს დააწყობდნენ: ფერ-უმარილს, ინას, საპონსა და ა.შ. სამკაულებს ფრთხილად, სათითაოდ შეინახავდნენ ისე, რომ უცხოს მხოლოდ წამიერად შეეძლო მოეკრა თვალი ქალბატონის სიმდიდრისათვის.

ქართული ხალხური ჰიგიენა ერთიანი ქართული კულტურის ორგანული ნაწილია.

ქართული ხალხური ჰიგიენა ერთიანი ქართული კულტურის ორგანული ნაწილია. იგი გამორჩეული ეკოლოგიური, ისტორიული პირობებისა და ეთნო-ფსიქოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით მრავალი საუკუნის მანძილზე ყალიბდებოდა და მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება.

კოსმეტიკური საშუალებების ნედლეული

კოსმეტიკური პრეპარატები რთული შედგენილობის ნარევებია, შეიცავს მრავალ ბუნებრივ და სინთეზურ ნივთიერებას. ჯერ კიდევ უძველს დროში ამზადებდნენ შავ საღებავს კოსმეტიკისათვის ტყვიის ბრჭყვიალასა და ანტომონიტისაგან (სტიბიუმის ბრჭყვიალა); ყავისფერს - პიროლუზიტისაგან (MnO_2); თიხის ზოგიერთი სახეობისაგან, რომელიც შეიცავდა რკინას და სპილენძის ოქსიდს; წითელს - ინის ექტრაქტისაგან; მწვანეს - სპილენძის ნაერთებისაგან.

უხსოვარ დროში უმნიშვნელოვანეს კოსმეტიკურ საშუალებებს წარმოადგენდა მალამო და სუნამოები. მალამოებს ცხიმებისა და ზეთების საფუძველზე ამზადებდნენ. ყველაზე ხშირად იყენებდნენ ლანოლინს, რომელსაც ცხვრის ბეწვისაგან მზადდებოდა და რომლის მიღებაც მთელ რიგ პროცესებთან იყო დაკავშირებული: დუღილი, ნარევის გამორეცხვა ზღვის წყლით, ფილტრაცია და მზეზე გამოთეთრება. ცხიმის მოსაპოვებლად ამუშავებდნენ ზეთისხილს, ნუშს, კაკალს და ა.შ. ეთერზეთებს გამოჰყოფდნენ ყვავილებიდან ჩვეულებრივ ან შედარებით მაღალ ტემპერატურაზე. იყენებდნენ ვარდის ზეთსაც. კოსმეტიკური საშუალებების დასამზადებლად ფართოდ იყენებდნენ სუფრის მარილს (გამოჰყოფდნენ ზღვისა და მინერალური წყლების აორთქლებით), რომელსაც აგრეთვე ხმარობდნენ საკვები პროდუქტების კონსერვაციისათვის და ეგვიპტეში მუმიფიცირებისათვის.

> კოსმეტიკური პრეპარატების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მინერალური ზეთები, ვაზელინი, პარაფინი

ამჟამად კოსმეტიკური პრეპარატების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მინერალური ზეთები, ვაზელინი, პარაფინი. პარაფინის ზეთი უფერო, უსუნო გამჭვირვალე მასალაა. ვაზელინი - თეთრი ფერის ბლანტი, წებვადი, უსუნო ნარევია.

მთის ცვილი - ოზოკერიტი და პარაფინი ფართოდ გამოიყენება კანის გამწმენდი კრემების, კოსმეტიკური რძისა და დეკორატიული კოსმეტიკის დასამზადებლად. ბუნებრივი მცენარული პროდუქტებიდან იყენებენ ქოქოსისა და კაკაოს ზეთებს. მნიშვნელოვანია აგრეთვე ზეითუნის, არაქისის, ნიგვზის, ნუშის, სოიას, აბუსალათინის და ა.შ. ზეთები. გარდა ამისა, იყენებენ კუს ცხიმს, გაღვივებული ხორბლისაგან გამოყოფილ ზეთს, ნატურალურ ცვილებს, როგორიცაა ფუტკრისა და კარნაუბის ცვილი. ცხვრის მატყლისაგან გარეცხვით გამოყოფენ ლანოლინს, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ქოლესტერინს, სხვადასხვა ცვილის და თავისუფალ ცხიმოვან მჟავებს. კოსმეტიკაში გამოიყენებენ აგრეთვე გლიცერინს, სტეარინის, პალმიტინის და მირისტინის მჟავებს; ოლეინის, ლინოლის და ლინოლენის მჟავებს, რომლებსაც მცენარული ზეთებიდან გამოყოფენ. კოსმეტიკაში ფართოდ გამოიყენებენ აგრეთვე სპირტებს, კერძოდ სტეარილის $C_{17}H_{35}CH_2OH$ და ცეტილის $C_{15}H_{31}CH_2OH$. კოსმეტიკაში დიდ

> მთის ცვილი - ოზოკერიტი და პარაფინი ფართოდ გამოიყენება კანის გამწმენდი კრემების, კოსმეტიკური რძისა და დეკორატიული კოსმეტიკის დასამზადებლად.

გამოყენებას პოულობს აგრეთვე სილიკონები ანუ პოლიორგანო-სილოქსანები.

კოსმეტიკურ საშუალებებში გამოიყენებენ ემულგატორებს და სტაბი-ლიზატორებს. მადეზინფიცირებელი და მაკონსერვირებელი ნივთიერებების გამოყენებისას ხდება კოსმეტიკური საშუალებების დაცვა გაფუჭებისაგან და ბაქტერიების, სოკოების მოსპობა კანზე. მაკონსერვირებელ ნივთიერებებად გამოიყენება ბენზოისა და სალიცილის მჟავები, ხოლო ანტიოქსიდანტებად ხშირად იყენებენ ფენოლურ და ქინონურ ნაერთებს.

კოსმეტიკური პრეპარატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სურნელოვანი ნივთიერება, რომელიც შეიძლება იყოს ბუნებრივი წარმოშობის ან ქიმიურად მიღებული.

ბუნებრივი სურნელოვანი ნივთიერებებია ეთერზეთები, ფისები და ბალზამები, ასევე ცხოველური წარმოშობის სურნელოვანი ნივთიერებები.

ყვავილები, ეთერზეთები

ეთერზეთები სურნელოვანი, ადვილად აქროლადი ნივთიერებებია, რომელიც მცენარეთა სხვადასხვა ნაწილში, ძირითადად ყვავილებში, ფოთლებში, ნაყოფსა და ფესვებში არსებობს. ეთერული ზეთი - მცენარის სუნის კვინტესენციაა. ეთერული ზეთი, მარტივად რომ ვთქვათ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც მფრინავი ნივთიერება, რომელიც შეიძლება გამოიყოს მცენარის ორგანიზმიდან. ხშირად ეთერზეთს გამოხდიან ორთქლთან ერთად მცენარის ფოთლებიდან ან ყვავილებიდან. ამ დროს ის გამოიყოფა ზეთის ფენის სახით. ზოგიერთ ეთერზეთს ღებულობენ მცენარიდან გამოწურვით ან ორგანულ გამხსნელში ექსტრაქციით. ცნობილია 3000-მდე ეთერზეთი, რომელთაგან გაყიდვაში რამდენიმე ასეულია. მცენარეებში ეთერზეთების რაოდენობა 1%-დან 0.1%-მდე მერყეობს.

ბუნებრივი ეთერზეთი შეიძლება შეიცავდეს ასეულ სხვადასხვა ნივთიერებას, და მისი თვისებები სწორედ ამ ნივთიერებებზეა დამოკიდებული, ზოგ შემთხვევაში მათი მცირე რაოდენობით არ-სებობისასაც კი. ეთერზეთები ძირითადად პარფიუმერიაში გამოიყე-ნება, ზოგჯერ კი საკვები პროდუქტების გემოს გასაუმჯობესებლად. როდესაც სუნამო დიდ ეფექტს ახდენს, ან იწვევს რაღაც ასოციაციას, ყნოსვის რეფლექსები ამუშავდება ლიმფურ სისტემასთან ახლოს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ემოციებთან.

გვირილა

ბაზილიკი

ეთერზეთებში არსებული ნივთიერებების დიდი ნაწილი შეიცავს 10 ატომამდე ნახშირბადს. ასეთი ნივთიერებები ხასიათდება განსაზღვრული აქროლადობით და ამავე დროს 10 ნახშირბადატომიდან შეიძლება აიგოს მრავალი სხვადასხვა სტრუქტურა. ეთერზეთების ზოგიერთი კომპონენტის თვისება შეიძლება შევაფასოთ მოლეკულების ფორმებთან და ყნოსვის რეცეპტორების ფორმებთან შედარებით.

ეთერზეთების ფარმაკოლოგიური თვისებებიდან აღსანიშნავია მისი ანთების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული და ჭიების საწინააღმდეგო მოქმედება. გარდა ამისა, ზოგიერთი ეთერზეთი გამოხატულ მოქმედებას ახდენს გულ-სისხლძარღვთა და ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირებაზე, ახასიათებს ტრანკვილიზატორული და დამამშვიდებელი თვისებები. არის ნერვული სისტემის სტიმულატორი, ხსნის ნერვულ დაძაბულობას, სტრესს, ამცირებს გაღიზიანებადობას, ემოციონალურ აღგზნებას, არეგულირებს ძილს, ამაღლებს შრომისუნარიანობას.

მცენარეული არომატული ნივთიერებები (მათ მიეკუთვნება ეთერზეთები. ექსტრაქტები) კარგად მოქმედებს გულის იშემიური დაავადებების დროს, გულისცემის დარღვევისას, რადგან ეთერზეთების ზოგიერთი კომპონენტი და მათი კომპოზიციები აფართოვებს კორონარულ სისხლძარღვებს, რაც აუმჯობესებს გულის კუნთის კვებას ჟანგბადითა და გლუკოზით.

მცენარეული არომატული ნივთიერებები არეგულირებს ლიპიდურ ცვლას. ისინი გამოიყენება ხანდაზმულ ასაკში პროფილაქტიკისათვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მცენარეული არომატული ნივთიერებების იმუნურ-მოდულირებად და ანტიოქსიდანტურ თვისებებს. მათ აქვთ აგრეთვე რადიოლოგიური დაცვის უნარი და ფართოდ გამოიყენებენ დასხივების შემდგომი ბაქტერიალური გართულებების დროს. მცენარეული არომატული ნივთიერებები შესაძლებელია აგრეთვე გამოყენებული იქნას კანცეროგენეზის დაწყებითი სტადიისას. ისინი ამუხრუჭებს ორგანიზმში როგორც ეკზოგენური, ასევე ენდოგენური კანცეროგენების წარმოქმნას.

განსაკუთრებით პერსპექტიული აღმოჩნდა მონარდის, ბაზილიკის და ფენხელის ეთერზეთები.

ბაზილიკის ზეთის ევგენოლ- და იზოევგენოლ-ფენოლური ფრაქციები ამჟღავნებს ტოკოფეროლების მსგავს აქტივობას.

მცენარეული არომატული ნივთიერებები გამოიყენება ემოციური სტრესისას. ექსპერიმენტებმა გამოავლინა მცენარეული არომატული ნივთიერებების იმუნოტროპული თვისებებიც. მცირე დოზით სისხლში შეწოვისას, ეთერზეთები აღაგზნებს სასუნქ გზებს. სალბის,

მონარდა ანუ ბერგამოტი

ფენხელი

ფიჭვის, სოჭის, ლავანდის ეთერზეთებს აქვთ ანალგეტიკური, სედატიური, ანტისეპტიკურ და ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედების უნარი და გამოიყენება ბრონქიტებისა და სხვა დაავადებების კომპლექსური მკურნალობისას.

ცხოველებზე ჩატარებული კვლევებით დადასტურდა ამ ზეთების ზემოქმედების უნარი ფილტვების ანთებით პროცესზე. ასე მაგალითად, ლავანდის და მონარდის ეთერზეთი ხელს უწყობს ანთების რეგრესს. ბაზილიკის ეთერზეთს ეს თვისება უფრო ნაკლებად აქვს გამოხატული, თუმცა ის გამოიყენება ცხოველებში ბრონქოპნევმონიების დროს. სამკურნალო პროცესში ბაზილიკისა და ლავანდის ეთერზეთების ჩართვა ამაღლებდა იმუნიტეტს.

არსებობს ეთერზეთები, რომლებიც გამაოგნებლად მოქმედებს ადამიანის ცნობიერებაზე. გვირილა ხსნის დაძაბულობას, ლიმონი მატონიზირებელ მოქმედებას იწვევს, ხოლო რაც შეეხება ეგზოტიკურ ილანგ-ილანგს, ის აღვიძებს მიძინებულ სასიყვარულო გრძნობებს. არომატოთერაპია მკურნალობის მეტად პოპულარულ სახეობად იქცა. ინგლისელების უმრავლესობა, შეუძლოდ ყოფნისა და ნევროზის დროს სწორედ ეთერზეთების კოსმეტიკურ პრეპარატებს მიმართავდა.

სალბი

ლავანადა

სანდალოზის ხე

როზმარინი

ღვია

არომატოთერაპიამ გამოცდა ლონდონის მეტროში გაირა. სუფთა ჰაერი, ლიმონის ესენციით, სპეციალურად შეუშვეს მეტროს ვაგონებში, მგზავრებისათვის ტონუსის ასაწევად. კრემებში, საპონში, მალამოებში, მრავალი ფირმა უმატებს ეთერზეთების მცირე რაოდენობას. ფირმა "Boots Chemists" ცნობილია თავისი საპნებით, კრემებით, მალამოებით, რომლებიც დამზადებულია არომა-ტოთერაპიის საფუძველზე ილანგ-ილანგის, სანდალოზის ხის, ჟასმინის, როზმარინის, ღვიის ეთერზეთების დამატებით.

ფირმა "Body Shop" აწარმოებს ნატურალურ პროდუქციას. ცოტა ხნის წინ, ამ ფირმამ დაამზადა კრემი, რომელსაც კარგი ძილისმომგვრელი ეფექტი აქვს, თანაც მასში შედის ნატურალური ინგრედიენტები, რომლებიც ხსნის დაძაბულობას და ტკივილს კუნთებში.

ეთერზეთებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საავადმყოფო-ებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში, კინოთეატრებში ჰაერის გასაწმენდად გრიპის ვირუსის აფეთქებების დროს.

ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ მხოლოდ რამდენიმე ტიპი მოლეკულებისა, რომლებიც გვხვდება ეთერზეთებში. მრავალი მათგანი მიეკუთვნება ორგანული ნივთიერებების კლასს, კერძოდ ტერპენებს.

ა ბ გ დ

მცენარეები, რომლებიც ტერპენებს შეიცავს: ა - ფიჭვი; ბ - პიტნა; გ - ნიახური; დ - კვლიავი (ძირა)

ასეთი ნივთიერებები აგებულია იზოპრენის ჯაჭვებისაგან. ტერპენები ფართოდ არის გავრცელებული მცენარეებში და დიდი წვლილი შეაქვთ არა მარტო მათი სუნის, არამედ ფერის ფორმირებაშიც.

ბენზილაცეტატი. ბენზილაცეტატი არის ძმარმჟავასა და ბენზილის სპირტის რთული ეთერი. ჟასმინი შეიცავს 65% ბენზილაცეტატს.



ილანგ-ილანგის ყვავილი

ჟასმინის ყვავილი

კუნძულ მაიოტაზე (ინდოეთის ოკეანე, მადაგასკარსა და მოზამბიკს შორის) 2006 წელს ილანგ-ილანგის ყვავილისაგან შექმნეს ეგზოტიკური, არაჩვეულებრივი, ფენომენალური არომატი. ყვავილის დასახელება "ველურ ბუნებას" ნიშნავს. მისი სამშობლო ფილიპინები, ინდონეზია, პოლინეზიაა. არომატიც ძალიან ძლიერია, მდიდარია ნიუანსებით. მათგან შეიძლება გავარჩიოთ რეზინის ნიუანსიც კი. მისი გული ჟასმინის არომატს და ფორთოხლის ფერს მოგაგონებთ. ილანგ-ილანგის არომატული ზეთი მიიღება ყვავილების მრავალფაზური დისტილაციით (ორქლით). ძირითადი არომატიზირებული შემადგენელია ბენზილაცეტატი, ლინალოოლი და მეთილბენზონატი, რომელიც ზეთს ყვავილის დამახასიათებელ სუნს აძლევს. ილანგ-ილანგის ყვავილი და მისი ზეთი გამოიყენება მედიცინაში. ის არეგულირებს სისხლის წნევას, სასარგებლოა კანისათვის, აღაგზნებს და ამაღლებს სექსუალურ ენერგიას. ინდონეზიაში ამ ყვავილებით რთავენ ახალდაქორწინებულთა საწოლს.

პარფიუმერიაში ილანგ-ილანგი მშვენივრად ერწყმის სხვა ყვავილების კომპონენტებს, ხილის ნოტებს, სპეციებს და ხის არომატებს, ე.ი. ის მეტად კეთილშობილი მასალაა. ლეგენდარული Givenchy-ის პარფიუმერებმა ამ ყვავილების საფუძველზე შექმნეს და 2007 წელს წარმოადგინეს კლასიკური არომატის თანამედროვე ვერსია.

ლინალოონთან ერთად ბენზილაცეტატი წარმოადგენს ჟასმინის ზეთის ერთ-ერთ აქტიურ კომპონენტს. ბენზილაცეტატის მიღების წყარო შეიძლება იყოს ჟასმინი (მცენარე Jasminum), ამასთან ის შეიძლება სინთეზირებული იქნას კიდეც. იაფი და ხელმისაწვდომი ბენზილაცეტატი შედის ტუალეტის დეზოდორანტების შემადგენ-ლობაში.

კარვონი $C_{10}H_{14}O$.

კარვონი მიეკუთვნება ტერპენების კლასს. ის წარმოადგენს თავთავიანი პიტნის ზეთის ძირითად აქტიურ კომპონენტს (Mentha Viridis), მცენარე, რომელიც ჩვეულებრივ, ახლოს არის პიტნასთან. თავთავიანი პიტნის ზეთი არის საღეჭი რეზინის დანამატი გემოსათვის. საღეჭი რეზინის ფუძე ადრე იყო საპოდილის (Achtas sapoto) ხის კოაგულირებული ლატექსი. ამჟამად ამ მიზნებისათვის გამოიყენება სინთეზური სტიროლისა და ბუტადიენის თანაპოლიმერი. საღეჭი რეზინის გარე საფარის როლს ასრულებს გამლღვალი შაქარი, წყალბადური ბმებით მტკიცედ დაკავშირებु-ლი მანამ, სანამ ეს კავშირები არ იქნება დარღვეული ნერწყვის წყლის მოლეკულებით.

თავთავიანი პიტნა

გერანიოლი, კარვონი

კარვონი, ლიმონენი,ცინეოლი

საპოდილას ხე

საპოდილას ხის საკვებად ვარგისი ნაყოფი

მხოლოდ მცირე განსხვავება პიტნისა და ძირას მოლეკულურ სტრუქტურებს შორის განაპირობებს მათ სხვადასხვა არომატს. ორივე მოლეკულას აქვს ერთი და იგივე ატომების კრებული, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ერთი და იმავე თანაფარდობით. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება ისევე, როგორც მარცხენა და მარჯვენა ხელი, ანუ ისინი წარმოადგენს ერთმანეთის საკრისებრ გამოსახულებას. მარცხენა და მარჯვენა ფორმების განსხვავებას სუნით ეთანადება შემდეგი მოსაზრება: ყნოსვითი რეცეპტორები მოქმედებს პირველ რიგში განსაზღვრული ფორმის მოლეკულებზე. ერთი მოლეკულა წამოადგენს გასაღებს ერთი ტიპის ცილა-რეცეპტორებისა, ხოლო მისი სარკისებრი გამოსახულების მოლეკულებს შეუძლიათ გააღონ სხვა ტიპის რეცეპტორები და აქვთ სხვა სუნი.

ყავისფერი ალდეჰიდი C_9H_8O.

ყავისფერი ალდეჰიდის მოლეკულას სასიამოვნო სუნი აქვს. იგი შედის დარიჩინის შემადგენლობაში და ღებულობენ ცეილონის დარიჩინის ხის ძირებიდან (Cinnamonuym zeylanicum) ან ჩინური დარიჩინის ხის ფოთლებიდან. კულინარიაში გამოიყენება ჯოხების ან ფხვნილის სახით. დარიჩინი ცნობილია თავისი დამახასი-ათებელი სუნით.

ცეილონის დარიჩინი

ჩინური დარიჩინი

ევგენოლი $C_{10}H_{12}O_2$.

Lauris nobilis

ევგენოლი შედის დაფნის ზეთის შემდგენლობაში და მას ღებულობენ ამ მცენარის ფოთლების ექსტრაქციით. ადრე ევგენოლის ძირითადი წყარო იყო შუა ზღვის კეთილშობილი დაფნის ფოთლები Lauris nobilis; ამჟამად მას ჩვეულებრივ ღებულობენ კალიფორნიული მცენარიდან Umbellularia Californica.

Umbellularia Californica

ევგენოლი ასევე წარმოადგენს აქტიურ კომპონენტს მიხაკის ზეთისას, რომელსაც ღებულობენ გამხმარი მიხაკიდან Eugenia aromatica. იზოევგენოლი ევგენოლისაგან განსხვავდება მხოლოდ ორმაგი ბმის მდებარეობით ნახშირბადის ატომების ჯაჭვში; ორმაგი ბმებისა გადაადგილება თან სდევს ცვლილება მიხაკის სუნიდან მუსკატის კაკლის სუნამდე. მუსკატის კაკალი (Myristica fragrans) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძირითადი ტრადიციულად გამოსაყენებელი საკმაზია, კულინარიაში გამოიყენება როგორც დაფქვილი კაკალი, ისე მისი დაფქვილი გარეკანი.

მიხაკი

Eugenia aromatica

გერანიოლი $C_{10}H_{18}O$.

გერანიოლს შეიცავს მრავალი ეთერზეთი, მათ შორის იავას ბალახის ზეთი, ციტრონელა გერანიოლის ზეთში. გერანიოლის მიღების წაყროს წარმოადგენს ვარდი. 2-ფენილეთანოლთან ერთად ის განაპირობებს ვარდის არომატს და შეიძლება გამოვყოთ ვარდის ფურცლებიდან. ამრიგად, ვარდის ყნოსვისას ზემოთაღნიშ-ნული მოლეკულები აგზავნიან სიგნალებს ჩვენს ტვინში.

გერანიოლი იავის ბალახის ზეთი იავის ბალახი

მუსკატის კაკალი

ციტრონელლა

ანეტოლი $C_{10}H_{12}O$.

ანეტოლი - ანილოვის ზეთის აქტიური კომპონენტია, გამოყოფენ მცენარის Pimpinella anisum-ის ოჯახიდან.

გერანიოლი იავის ბალახის ზეთი იავის ბალახი Pimpinella anisum

ანეტოლს ასევე შეაქვს დიდი წვლილი ფეხელისა და ექსტრაგონის სუნში. ანეტოლის მსგავსი ნაერთია ანეტოლტრიტიონი.

კამფორა $C_{10}H_{16}O$.

თეთრი ფერის კრისტალურ ნივთიერებას - კამფორს გამოყოფენ კამფორის ხის (Cinnamonum camphora) ფესვების, ტოტებისა და ორთქლით გამოხდისას.

კამფორის ხე

კამფორის ხე ხარობს იაპონიაში. კამფორას იყენებენ მედიცინაში. ადრე მას იყენებდნენ, როგორც სასუნთქი გზების მასტიმულირებელ საშუალებას.

ეთერზეთები ადვილად აქროლადი ნივთიერებებია. სურნელების დიდხანს შესანარჩუნებლად მათ ემატება სურნელების ფიქსატორები, კერძოდ სტირაქსი. სურნელების ფიქსაციისათვის იყენებენ აგრეთვე ბალზამს. ბალზამის ხის ქერქისაგან გამოიყოფა ხსნარი, რომელსაც "პერუს ბალზამს" უწოდებენ. ცხოველური წარმოშობისაა ამბრა და მუსკუსი.

ნატურალური ბალზამი ტუჩებისათვის

ბალზამის ხე

რუხი ამბრა

მუსკუსი

სინთეზური გზით შეიძლება მიღებული იქნას როგორც ბუნებრივი ნაერთების ანალოგიური, ისე ბუნებაში არარსებული ნივთიერებები.

კოსმეტიკური საშუალებებისათვის ძირითადი გამხსნელია წყალი. იმისათვის, რომ გაიზარდოს ორგანული ნივთიერების წყალში

ხსნადობა, მას მცირე რაოდენობით უმატებენ წყალში ხსნად ორგანულ გამხსნელს - სპირტს და გლიცერინს. სპირტებიდან გამოიყენებენ ეთილის სპირტს, რომელიც ასევე კარგად ასუფთავებს კანს და ახდენს დეზინფექციას. ამავე მიზნით გამოიყენებენ აგრეთვე სხვა სპირტებსაც, კერძოდ პროპილის, იზოპროპილის და ბუტილის.

ლაქებში გამხსნელად გამოიყენებენ აცეტონს.

კოსმეტიკურ საშუალებებში ხშირად გამოიყენებენ პიგმენტებს და საღებრებს. კერძოდ, პიგმენტებად გამოიყენებენ მეტალთა ოქსიდებს და მარილებს. პიგმენტები და საღებრები არ უნდა აღიზიანებდეს კანს, არ უნდა იყოს მომწამლავი და არ უნდა იწვევდეს ალერგიას.

კოსმეტიკაში ნიღბებისთვის ხშირად იყენებენ თიხას.

თიხა შეიძლება იყოს თეთრი, ცისფერი, მწვანე, წითელი, ყვითელი ანდა ნაცრისფერი. თიხის ფერი განპირობებულია მასში შემავალი მიკროელემენტებითა და მინერალებით. თანაც, თითოეული ფერისა და სახეობის თიხა შეიცავს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სამკურნალო და კოსმეტიკურ თვისებებს.

ყველაზე სასარგებლოდ მიჩნეულია ცისფერი თიხა. მას უმატებენ ნებისმიერ ნიღაბს. ასეთი პროცედურების შემდეგ სახის კანი იწმინდება, ხდება ხავერდოვანი, გლუვი. არსებობს ასევე სამკურნალო თიხა, რომლის შეძენაც აფთიაქშია შესაძლებელი. ის ძალიან ეფექტურია ტკივილის გასაყუჩებლადაც. თიხა კარგად წმენდს ფორებს, ხელს უწყობს ანთებითი პროცესების ჩაქრობას, კანის რეგენერაციას და აუმჯობესებს მის ელასტიკურობას.

ერთხელ გამოყენებული თიხის ხელმეორედ გამოყენება არ შეიძლება.

სუნამო

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარფიუმერიის ისტორია ძველი ეგვიპტიდან იწყება. აქ ფართოდ გამოიყენებოდა სურნელოვანი ნივთიერებები კრემებისა და ბალზამების დასამზადებლად, რომლებსაც კანზე წასასმელად იყენებდნენ. ნამდვილი ექსპერიმენტები ახალი არომატების მისაღებად დაიწყეს სწორედ ძველმა ეგვიპტელებმა, რომელთათვისაც სუნამო რეალიგიური რიტუალების განუყოფელი ნაწილი იყო.

შუა საუკუნეებში სასიამოვნო არომატის შექმნის ხელოვნებამ, ევროპამდე მოაღწია, კერძოდ კი პატარა ქალაქ ***გრასამდე*** საფრანგეთში. სწორედ იქ მდებარეობს ამჟამად მსოფლიო ცენტრი, სადაც ქმნიან ფორმულებს სუნამოს, ოდეკოლონის, საპნის, თალკის და ადამიანისათვის აუცილებელი მრავალი სხვა საგნის მისაღებად.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპელები, ძველი ეგვიპტელებისაგან განსხვავებით უპირატესობას ყოველთვის ანიჭებდნენ მსუბუქ, ყვავილის არომატებს, რაც გახდა კიდეც ფრანგული სუნამოების თავისებური განმასხვავებელი ნიშანი. მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში ფრანგებმა და შემდეგ დანარჩენმა ცივილიზებულმა მსოფლიომ კვლავ მიაქცია ყურადღება მძიმე "აღმოსავლურ" სურნელებას, რომელზედაც ამჟამად მსოფლიო ბაზარზე განსაკუთრებული მოთხოვნაა.

არომატების შექმნა ძველი დროიდან რომანტიკული საიდუმლოებითაა მოცული, ის რაღაცით ახლოსაა ალქიმიის და მაგიის იატორიასთან. მაგალითად, საფრანგეთის მეფის კარზე, როგორც დიუმას რომანებიდან გვახსოვს, ასტროლოგი და პარფიუმერი - ერთიდაიგივე პიროვნებაა. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ პარფიუმერული ხელოვნება მესოპოტამიაში ჩაისახა, სადაც, გადმოცემის თანახმად, მიწიერი სამოთხე იყო. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, სუნამოს სამშობლოა არაბეთი, რომელსაც დიდ ხნის განმავლობაში, თითქმის ჩვენს დრომდე "კეთილსურნელების ქვეყანა" ერქვა.

სიტყვა "პარფიუმერია" (per - შემდეგ, იქით, fumum —კვამლი) მიუთითებს, რომ პირველი სურნელება მიიღეს არომატული ფისისა და სურნელოვანი მცენარეების დაწვისას. პარფიუმერების ოსტატობა თანდათან იზრდებოდა სურნელზე მოთხოვნილების გაზრდასთან ერთად. ავიცენამ აღმოაჩინა ყვავილებისა და მცენარეებისაგან მათი არომატული და სამკურნალო ელემენტების დისტილაციით გამოყოფის წესი. ასე მიაგნო მან აქროლადი სურნელების ხანგრძლივად შენახვის ხერხს, შეძლო ის მდგრადად ექცია.

ბერძნები თვლიდნენ, რომ არომატები ღვთიური წარმოშობის იყო. მიცვალებულებს ისინი აუცილებლად ატანდნენ სამრხეებში ფლაკონებს სურნელოვანი ნივთიერებებით.

რომაელებმა პირველად გამოიყენეს არომატიზირებული ნივთიერებებისათვის მინის ფლაკონები. უბრალო სუნამოს ისინი აწარმოებდნენ მხოლოდ ერთი კომპონენტის - ვარდის, ნუშის, ნარცისის ყვავილისაგან, ხოლო რთული შეიცავდა 7-20 კომპონენტს.

XX საუკუნის ყველაზე ცნობილი სუნამოები:

არაბებმა პარფიუმერულ ხელოვნებაში შემოიტანეს ყვავილების სურნელება და გააუმჯობესეს დისტილაციის ტექნიკა.

არაბების პირველი პარფიუმერული პროდუქტი იყო ვარდის წყალი, ხოლო მისი მწარმოებელი პირველი მსხვილი ცენტრი სპარსეთის სამხრეთი გახდა. XII საუკუნეში ვარდის წყლის წარმოება სირიაშიც გავრცელდა.

ქრისტიანულ სამყაროში პარფიუმერიის მფარველად ითვლებოდა აბო თბილელი. ის ნერსესის მსახურად და პირად პარფიუმერად ითვლებოდა.

ევროპელების მიერ სპირტის გამოგონებამ პარფიუმერიის ხელოვნება მაღალ დონეზე აიყვანა. ისტორიაში პირველი სუნამო იყო "უნგრული წყალი" ან "უნგრეთის დედოფლის წყალი" C_2H_5OH შემადგენლობით, რომელიც როზმარინის ნაყენს შეიცავდა.

პირველი ნამდვილი ოდეკოლონი ("eau de Cologne" - ფრანგულად "კიოლნის წყალი"), რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა, დაამზადა მილანელმა პარფიუმერმა და იგი განკუთვნილი იყო კიოლნში გასაყიდად. ეს ოდეკოლონი ისე მოსწონდა ნაპოლეონ ბონაპარტს, რომ თვეში 60 ცალს ყიდულობდა. ნაპოლეონი თვლიდა, რომ ეს საოცარი წყალი არა მარტო სასიამოვნო იყო, არამედ ტვინის მუშაობის სტიმულატორსაც წარმოადგენდა. ის ორ ფლაკონს ისხამდა ყოველდღიურად ტანსაცმელზე, აწვეთებდა შაქარს და უმატებდა წყალს აბაზანის მისაღებად.

შანელი 5

ორგანული ქიმიის მიღწევებმა XIX საუკუნეში შესაძლებელი გახადა სურნელოვანი ნივთიერებების მიღება ქიმიური გზით. ამის შემდეგ პარფიუმერებს შესაძლებლობა მიეცათ შეექმნათ ისეთი შეხამება სურნელებისა რომლებიც ბუნებაში არ არსებობდა. XX საუკუნეში პაფიუმერია გიგანტურ ინდუსტრიად ჩამოყალიბდა. არომატების რაოდენობა ისე გაიზარდა, რომ შესაძლებელი გახდა მათი დაჯგუ-ფება სახეობების მიხედვით. სურნელების გარდა მნიშვნელობა ენიჭებოდა გაფორმების ელემენტებს, შეფუთვას, რეკლამას. პარფიუმერულმა ფირმებმა მუშაობა დაიწყეს მინის ცნობილ ფირმებთან, რამაც საშუალება მისცა ბროლის ოსტატებს შეექმნათ სრულყოფილი ტექნოლოგია ფლაკონების საწარმოებლად. მოგვიანებით, მოდის ყველა ცნობილი სახლი სუნამოთი დაინტერესდა. მათ შორის იყვნენ: კოკო შანელი, პიერ ბალმენი, კრისტიან დიორი, ნინა რიჩი, იუბერ ჟივანში, ივ როშე, გუჩი, გარლენი, ლანკომე, მოსჩინო, კენზო, ჰუგო ბოსი, ესთიი ლაუდერი, არმანი და სხვები.

კლასიკური არომატის "შალიმარი" (Shalimar), ჟაკ გარლენი 1925 წელი

ჟან პატუ (Jean Patou)

ესთიი ლაუდერი (Estee Lauder)

კოსმეტიკური საშუალებებიდან აღსანიშნავია ***კოსმეტიკური კრემები***, რომლებიც შეიძლება იყოს ცხიმოვანი, ემულგირებადი, ემულსიური და უცხიმო.

სახის კრემებიდან უნდა გამოიყოს დღის კრემი, კანის სიმშრალის საწინააღმდეგო კრემი, გრიმის წინ გამოსაყენებელი კრემი, ღამის კრემი, კანის გამწმენდი კრემი, სახის ნიღაბი და ა.შ.

ღამის კრემი შეიცავს შედარებით მეტ ცხიმს, ვიდრე დღის. ტიპიური რეცაპტურის მიხედვით ღამის კრემის შემადგენლობაში შედის: ფუტკრის ცვილი, მინერალური ზეთი, ბორაქსი და წყალი. თანამედროვე ღამის კრემებში მინერალური ზეთები შეცვლილია ცხოველური ან მცენარეული ცხიმებით. ფუტკრის ცვილის ნაცვლად გამოიყენება ნახევრად სინთეზური ცვილები და მაღალმოლეკულური სპირტები.

დღის კრემი ძირითადად შეიცავს სტეარინის მჟავას, ტრიეთანილამინს, გლიცერინს, წყალს. გარდა ამისა, სურნელოვან და მაკონსერვირებელ ნივთიერებებს. კანზე კრემის წასმისას წყალი ორთქლდება, წარმოიქმნება აფსკი, რომელიც ფარავს კანს და რომლის ძირითადი შემადგენელი არის სტეარინის მჟავა.

კანის სიმშრალის საწინააღმდეგო კრემები ძირითადად შეიცავს 70-90% წყალს და ცხიმოვან ფაზას, რომელშიც შედის ცხიმის მჟავები, ცვილი და სხვა. დამტენიანებლების რაოდენობა 5-10%-ია. კოსმეტიკურ რძეში წყლის რაოდენობა 70-80%-ია.

გრიმის წინ გამოსაყენებელ დღის კრემში წყლის რაოდენობა 50-70%-ია. მასში შედის აგრეთვე მცირე რაოდენობით პიგმენტი, რომელიც კანს ფერს აძლევს.

ლანკომე

ნივეა

ივ როშე

გარნიერი

მილა დ'ოპიზ. ჟანგბადის კრემი

ჰელენა რუბინშტეინი

გარნიერი

ლანკომე

ბიოთერმი

მასაჟისათვის გამოიყენება ემულსიური და უცხიმო კრემები, შეიძლება ასევე გამოყენებული იქნას სუფთა ზეთის და კაკაოს ზეთის შემცველი კრემებიც.

სტატისტიკის მიხედვით, მასაჟისტების 95% მასაჟისათვის იყენებს ცხიმს, ხოლო 5% - ტალკს, საბავშვო ფხვნილს ან საერთოდ არაფერს.

მასაჟისათვის ფართოდ გამოიყენება მინერალური ზეთი (Jonson Baby) ვიტამინ E-თი, ზეითუნის ზეთი. უკანასკნელ წლებში ხმარობენ ნუშის, ავოკადოს, ატმის და ყურძნის კურკის ზეთებსაც. ზეთი უნდა იყოს არარაფინირებული. ეს ზეთები ძალიან კარგია, მაგრამ საკმაოდ ძვირი.

ხელის კრემები

ხელის კრემები, გარდა ემულსიებისა, შეიცავს სილიკონების მცირე რაოდენობას, რომელიც ხელზე წყლისა და ჭუჭყის ამცილებელ აფსკს წარმოქმნის. ნებისმიერი ხელის კრემის საფუძველს წარმოადგენს წყალი (60-80%). მას ემატება სხვადასხვა ნივთიერება, რომლებსაც თავისი განსაკუთრებული დანიშნულება აქვს:

- სინესტეს ინარჩუნებს გლიცერინი და დიმეტიკონი;
- სხვადასხვა ზეთი კვებავს ხელებს;
- გვირილის და კალენდულას ექსტრაქტი აწყნარებს და ახდენს ბაქტერიოციდულ მოქმედებას;
- ალოე - აცოცხლებს და ანესტიანებს;
- E ვიტამინი იცავს ხელის ბუნებრივ სტრუქტურას.

თუ კრემში წყლიანი ფაზა მეტია ცხიმოვან ფაზაზე, კრემს ემულსიური, დამანესტიანებელი ეწოდება. იგი ყოველდღიური ხმარებისთვისაა განკუთვნილი. ცხიმიანი კრემები კარგად კვებავს ხელებს A, E, F ვიტამინების და სხვა დამანესტიანებელი დანამატების წყალობით.

კანის გამწმენდი კრემები ძირითადად შეიცავს მინერალურ ზეთებს და ცვილს. გამწმენდ რძეში 70% წყალია და 10-30% მინერალური ზეთი.

კანის დასაბანი გამწმენდი ემულსიები შეიცავს მრეცხავ ნივთიერებას, დამალბობლებს, რძის მჟავას.

რძის ლოსიონებში წყლის გარდა შედის სპირტი - 15-25%, ბორის მჟავა, აკუმინის მარილები, მცენარეული ექსტრაქტები, ბაქტერიოციდები და ფუნგიციდები.

სახის გასაწმენდად კოსმეტოლოგები ხმარობენ კერალიტურ ნივთიერებებს. კრემის კანზე შეზეთვისას მის შემადგენლობაში არსებული უხსნადი ნაწილაკები, რომლებიც გამხეხავი უნარით ხასიათდება, ამ გზით მკვდარი კანის მცირე ნაწილებს აცილებს კანს. კერატოლიტებია ფერმენტები. ცხოველური ფერმენტებიდან გამოიყენებენ პეპსინს, ტრიპეპსინს და კუჭქვეშა ჯირკვლის ზოგიერთ ფერმენტს, აგრეთვე ანანასის, ლეღვის და ა.შ. ფერმენტებს. ქიმიური კერატოლიტია სალიცილის მჟავას 1%-იანი ხსნარი, გოგირდი, რეზორცინი. გამხეხავ კომპონენტად გამოიყენება სილიკატები, კაოლინი, პემზა და ა.შ.

სახის ნიღბები

სახის ნიღბები არის გამაცოცხლებელი, მატონიზირებელი, გამათეთრებელი, შემკრავი, გამწმენდი და დამამშვიდებელი.

სახის ნიღბების საფუძველია ცხიმოვანი მჟავასა და სპირტების ნაწარმები; მაადსორბირებელი ნივთიერებები - კაოლინი, თალკი; ცინკის, ალუმინის ან მანგანუმის ოქსიდები; აგრეთვე ნივთიერებები სიბლანტის გასაზრდელად: სახამებელი, კარბოქსიმეთილცელუ-ლოზა, ჟელატინი, ლატექსი; ზედაპირული დაჭიმულობის შესამ-ცირებლად გამოიყენება სხვადასხვა ზედაპირულად აქტიური ნივთიერება. იმისდა მიხედვით, როგორია ნიღბის ტიპი, მას ემატება ნივთიერებები, რომლებიც სხვადასხვა ეფექტს იწვევს: პარაფინი, ცხოველური ცხიმები, ტალკი, ფქვილი, სახამებელი, თეთრი თიხა, ბორის მჟავა, ლავანდის ზეთი, ცინკის ჟანგი, შემკრავი ნივთიერებე-ბი, ალუმინის მარილები, მთრვილავი ნივთიერებები, რძის მჟავები, დამამშვიდებელი და სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატები.

ნიღბის ქვეშ ძლიერდება სისხლის ნაკადი კანისაკენ, უმჯობესდება კანის კვება. ნიღბის შემდეგ სახე ახალგაზრდულად, ვარდისფრად გამოიყურება.

ნიღბების შემადგენლობაში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების - ჰორმონების არსებობა (ალოეს წვენი, ჟენშენი,

ოხრახუში, გვირილა, ფუტკრის რძე) აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას.

კანის მათეთრებელი საშუალებები

დიდი ხნის წინათ ამ მიზნით იყენებდნენ ლიმონის წვენს, წყალბადის ზეჟანგს, პერბორატებს.

პრემიერი ეველინე და"აჰრომინე" ამადორის

დეზოდორანტები

ისინი ხელს უშლის ოფლის სუნის წარმოქმნას, ხოლო ანტიპერსპირატები - ოფლის გამოყოფას. დეზორანტები არსებობს ლოსიონების, ფანქრების, პუდრისა და აეროზოლების სახით. აეროზოლებში გამხსნელად გამოყენებულია სპირტი, ლოსიონებში - სპირტი და წყალი, ფანქრებში ემატება ცვილი, მაღალმოლეკულური სპირტები, საპონი. დეზოდორანტებს უმატებენ არომატულ ნივთიერებებს სუნის მისაცემად.

შანელის დეზოდორანტი გუჩის დეზოდორანტი ესთიი ლაუდერ ჯივენჩი

ფეხის მოვლის კოსმეტიკური საშუალებები

მათ უნდა ჰქონდეს გამწმენდი, დამარბილებელი, გამახალისებელი და სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესების ეფექტი. ფეხზე გამაგრებების მოსაცილებლად აბაზანას ემატება ბორაქსი, სოდა ან ტუტე. ფეხების მოსავლელად გამოიყენება მრავალი ბალახის, მაგ. ალოეს, გვირილას აბაზანა, იმ მცენარეთა ქერქის ექსტრაქტები, რომლებიც ფეხის კანის გაჭიმვას იწვევს და შეიცავს ტანინებს. ფეხზე მეჭეჭისა და ბებერის საწინააღმდეგო აბაზანები ტუტე თვისების ნივთიერებებს უნდა შეიცავდეს.

ლოკალური დარბილებისათვის იყენებენ კერატინის დამშლელ უფრო ძლიერ ნივთიერებებს - სალიცილის მჟავას და ძმარმჟავას. ამ მიზნით წარმატებით გამოიყენება სალიცილის მჟავას კრემი სპეციალურად ბებერებისათვის. ეფექტურია აგრეთვე ამ მჟავას შეცველი პლასტირები.

ფეხის მოსავლელ კრემს, ჩვეულებრივ, კანის კრემების შედგენილობა აქვს, მაგრამ მათ უმატებენ ქაფურს. ქაფურის დამატება აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და ხსნის დაღლილობას.ამ კრემებს უმატებენ აგრეთვე სოკოს საწინააღმდეგო სამკურნალო პრეპარატებს.

დეკლეორი H&B მკვდარი ზღვის მინერალები:

ევონი -ფეხის კრემი მინერალ ლაინ სილიკონით

ფეხის პუდრების ძირითადი კომპონენტებია ტალკი, კაოლინი, მაგნიუმის კარბონატი და სხვ.

დეკორატიული კოსმეტიკა

ევონის
ფეხის პუდრა

ჯეჰვოლის
ფეხის პუდრა

დეკორატიულ კოსმეტიკას მიეკუთვნება პუდრის ფხვნილი, რომელიც შეიცავს მხოლოდ პიგმენტს ან პიგმენტს და სტეარინის მჟავას, ცვილს.

თეთრი პიგმენტის სახით იყენებენ კაოლინს, ტიტანისა და ცინკის ოქსიდებს, სახამებელს, მაგნიუმისა და ალუმინის სტეარატს. ამ კომპონენტებს ურევენ ერთმანეთს და ღებულობენ სხვადასხვა დანიშნულების პროდუქტს. შეფერილ პუდრებში გამოიყენება პიგმენტები: რკინის ოქსიდები, ოხრა, სიენიტი და სხვა, 1-5% შემცველობით.

მერი

ქეი

გუჩი

შანელი

ჯივენჩი

ფერადი კრემები

ფერადი კრემების შემდგენლობაში შედის ძირითადად ცხიმოვანი მჟავები, ეთერები, ლანოლინი, ცვილი 10-15%, გლიცერინი, დამარბილებლები - 5-10%, კარბოქსიმეთილცელულოზა და ცელულოზას სხვა ნაწარმი - 1%, პიგმენტები - 10-20%, წყალი - 55-80%. ამას გარდა ის შეიცავს ემულგატორებს, სურნელოვან და მაკონსერვირებელ ნივთიერებებს.

თვალების დეკორატიული კოსმეტიკა

თვალების დეკორატიული კოსმეტიკიდან აღსანიშნავია წამწამების ტუში, რომელიც შეიცავს სრტეარინის მჟავას ნაწარმებს, ფუტკრისა და კარნაუბის ცვილს, პარაფინს. ლანოლინს და ტრიეთანოლამინს,

წყალსა დაპიგმენს. ტუში არ უნდა იხსნებოდეს წყალში და არ უნდა იწვევდეს ალერგიას.

პირველი ტუში გამოიგონა ინგლისელმა ვაჭარმა იუჯინ რიმმელმა XIX საუკუნის შუა წლებში, ტუშის ინგლისური სახელწოდება (Mascara) წარმოიშვა იტალიური სიტყვიდან (Maschera), რაც ნიშნავს დამცავ ნიღაბს. პირველი ტუშის შემადგენლობაში შედიოდა ნახშირის მტვერი და ვაზელინი.

დღესდღეობით ტუში მზადდება ვაზელინის, სილიკონისა და შავი პიგმენტის ნაზავით.

ქუთუთოების საცხი

ქუთუთოების საცხს აქვე ისეთივე შედგენილობა, როგორიც პუდრას. ფერადი საცხები შეიცავს ვაზელინს, პიგმენტს, ცვილებს და ლანოლინს. თხევადი საცხები დღის კრემების ანალოგიურია.

პომადა

პომადა პირველად მესოპოტამიაში გამოიყენეს და ის დამზადებული იყო წითელი პიგმენტის, ფუტკრის ცვილისა და ცხოველური ცხიმისაგან. ეგვიპეტლი ქალები უპირატესობას ანიჭებდნენ მუქი ფერის ტუჩსაცხს, ამიტომ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ იმ დროს მოდაში იყო თხელი და ხაზგასმული ტუჩები. მოგვიანებით პომადა გაჩნდა ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთსა და რომშიც. თითონ სიტყვა "პომადა" წარმოდგება ლათინური "pomum"-საგან, რაც "ვაშლს" ნიშნავს. სწორედ ვაშლისაგან მზადდებოდა პირველი პომადები.

ტუჩების პომადის ძირითადი კომპონენტია ფუტკრის ცვილი, რომელიც აერთიანებს და აწებებს კომპონენტს კანთან. მას დამატებული აქვს აგრეთვე ზეთი, რომელშიც იხსნება პიგმენტი.

XX საუკუნეში ტუჩის საცხის ისტორიაში გარდატეხა მოხდა. 1903 წელს ამსტერდამში მსოფლიო გამოფენაზე, ნამდვილ სენსაციად იქცა კოსმეტიკური სიახლე, განკუთვნილი ქალის ტუჩისათვის. იგი დამზადებული იყო ირმის ცხიმის საფუძველზე და თავისი არსით წააგავდა საცხს. საცხი ღირსეულად შეაფასეს გამოფენის დამსწრე ქალბატონებმა, რომელთა შორის იყო ცნობილი მსახიობი სარა ბერნარი.

1915 წელს ამერიკაში პირველად გამოჩნდა გაყიდვაში, ახლა უკვე კარგად ცნობილი ტუჩის საცხის ტუბები. ტუჩის საცხმა მიიღო თავისი თანამედროვე გარეგნობა.

20-30-იან წლებში, კინომსახიობების: მარლენ დიტრიხის, გრეტა გარბოს და სხვათა წყალობით, ტუჩის საცხი მყარად შევიდა ქალის ყოგველდღიურობაში. იგი უკვე აღარ იყო რჩეულთა ხვედრი.

1947 წელს პარიზი განიცდიდა ნამდვილ კოსმეტიკურ ბუმს. აქედან მოყოლებული, ქალთა უმრავლესობას მუდამ თან დააქვს თავის ჩანთაში ტუჩის საცხის ტუბები, პარფიუმერულმა წარმოებამ სწრაფად შესძლო შეეთავაზებინა ქალებისათვის ყველა ფერის და ტონალობის საცხი.

დღევანდელ მსოფლიოში ქალები აქტიურად ხმარობენ ტუჩსაცხს - წითელს, ვარდისფერს, ყავისფერს და სხვ.

ტუჩების პომადის ტიპიური რეცეპტურა: ფუტკრის ცვილი - 5-10%, ზოგჯერ 3%, სიბლანტის გასაზრდელად; კარნაუბის ცვილი - 3-6%. იგი ამაგრებს ზეთს პომადის მასაში; ლანოლინი - 5-10%, შემაკავშირებელი, არბილებს ტუჩებს; სტეარილის სპირტი - 1-3%; კასტორის ზეთი - 30-60%, ცხიმში უხსნადი პიგმენტები. პომადის შემადგენელი ნივთიერებები არ უნდა იყოს ტოქსიკური, უნდა ჰქონდეთ სასიამოვნო გემო, სუნი და არ უნდა აღიზიანებდეს კანს და ლორწოვან გარსს.

ლოყების საცხი

ლოყების საცხი. რუმიანა-რუჟი. წითელ რუჟებს კერ კიდევ ძველ ეგვიპტეში ხმარობდნენ. მას ასევე ისვამდნენ ტუჩებზეც. რუჟის გასაკეთებლად სხვადასხვა ინგრედიენტია საჭირო. მაგალითად, ძველ საბერძნეთში ამისათვის ხმარობდნენ დაპრესილი ჟოლოს ან გოგრის წვენს.

დღესდღეობით რუჟს ამზადებენ ფერადი პიგმენტების და ტალკის მეშვეობით, რომელიც ფუნჯით სახით ზედაპირზე ისმება.

ფრჩხილების მოვლის კოსმეტიკურ საშუალებები

ფრჩხილების მოვლის კოსმეტიკურ საშუალებებს მიეკუთვნება ლაქები, რომლის შემადგენელ კომპონენტებს მიეკუთვნება აფსკწარმომქმნელები, დამარბილებლები, ფისები, გამხსნელები და პიგმენტები. აფსკწარმომქმნელად გამოიყენება ნიტროცელულოზა, რომელიც წარმოქმნის მაგარ და მბრწყინავ აფსკს. ელასტურობის, ბზინვარების მისანიჭებლად და იმ მიზნით, რომ არ იყოს მსხვრევადი, ამატებენ დიბუტილფთალატს - დამარბილებელს. გამხსნელის დანიშნულებაა ის, რომ ყველა კომპონენტი კარგად იყოს გახსნილი, კარგად შერეული და თვით გამხსნელს ჰქონდეს ადვილად აორთქლების უნარი. ამ მიზნით ლაქებში გამოიყენება აცეტონი და კარბონმჟავათა რთული ეთერების ნარევი.

ფრჩხილების ლაქი გამოიგონეს ჩინეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 30 წელს. გრძელი ფრჩხილები მაღალი ფენის წარმომადგენლობის მაჩვენებელი იყო. ქალები ფრჩხილებს 25 სმ-ის სიგრძეზე იზრდიდნენ, იმის საჩვენებლად, რომ ხელსაქმით არ იყვნენ დაკავებულნი.

ფრჩხილების გასამაგრებლად იყენებენ კრემს, რომლებიც შეიცავს ლანოლინს, ლუცეტინს, ფუტკრის ცვილს და სხვა. ნივთიერებები, რომლებიც ცილების ჰიდროლიზის შედეგად მიიღება ადვილად ეკრობა ფრჩხილებს და ამაგრებს მათ.

თმის მოვლის უმთავრესი საშუალებებია ***შამპუნები***. შამპუნები გამოდის გამჭვირვალე, კრემისებური, ჟელესმაგვარი და მყარი სახით. გარდა ამისა, არსებობს საბავშვო, ქერტლსაწინააღმდეგო, ცხიმიანი, მშრალი თმისა და სხვა ტიპის შამპუნები.

შამპუნების შემადგენელი ნაწილია კაპრონის, ლაურინის, მირისტინის, პალმიტინის, სტეარინისა და ოლეინის მჟავების ნატრიუმის იშვიათად კალიუმის მარილები და საპნები. შამპუნის შემადგენლობაში შედის აგრეთვე ლაურილის ნაწარმები: ლაურილსულფატის ნატრიუმის ამრილი, ტრიეთანოლამინლაურილსულფატი, ლაურილსარკოზინები და სხვა. ეს ნაერთები ანიონაქტიური გამრეცხი საშუალებებია, უსაფრთხოა ორგანიზმისათვის, არ აღიზიანებს თვალის გარსს.

შამპუნების შემადგენლობაში იშვიათად კათიონური გამრეცხი საშუალებებიც შედის, ისინი კარგი ბაქტერიოციდებია. შამპუნებში დანამატის სახით შედის აგრეთვე არაიონოგენური და ამფოტერული დეტერგენტები. ისინი ქაფს ცუდად წარმოქმნის, მაგრამ ეფექტურია ხისტ წყალში. დამატებით კომპონენტში შედის აგრეთვე ქაფის წარმომქმნელები და სტაბილიზატორები.

ლაურილდიენანოლამიდი და დოდეცილბენზილი თმას სიმსუბუქესა და ბზინვარებას მატებს. შამპუნებს ამატებენ აგრეთვე - ლანოლინს, გლიცერინს, სილიკონს, რომლებიც ასევე ანიჭებს თმას სირბილეს და ბზინვარებას. თმის დარბილებას ხელს უწყობს სარკოზინები.

ქერტლსაწინააღმდეგო შამპუნებში შედის კათიონაქტიური დეტერგენტები, გოგირდი, სალიცილის მჟავა, ქლორჰექსიდინი, სელენის სულფიდი, კადმიუმის სულფიდი და ცინკპირიტონი. შამპუნისათვის სიბლანტის მისანიჭებლად ამატებენ კარბოქ-სილეთილცელულოზას, ნატრიუმის, კალიუმის, ამინური, სხვადასხვა ცილების ექსტრაქტებს, მაკონსერვირებელ დანამატებს, სურნელოვან და თერაპიულ ნივთიერებებს.

არსებობს ***თმის ღებვის*** სხვადასხვა საშუალება. თმის დროებითი შეღებვა ხდება ფხვნილებით, შამპუნით და თმაზე გადასავლები სითხეებით. ფხვნილები, რომლებიც ღებავს თმის ძირებს ძირითადად სახამებელს და სასურველი ფერის საღებარს შეიცავს. გადასავლები სითხეები შეიცავს საღებრებს, რომლებიც თმებზე რჩება გადავლების შემდეგ, შამპუნით დაბანის შემდეგ ჩამოირეცხება.

მსუბუქი ნახევრადმდგრადი საღებრები უძლებს თმის რამდენჯერმე დაბანას. მათ მიეკუთვნება აზო-, ნიტრო-, ნაფტალინ- და ანტრაქინონის საღებავები, რომლებიც გამოდის აეროზოლებისა და შამპუნების სახით.

მდგრადი საღებრები ჟანგვადი საღებრებია. ისინი ორკომპონენტიანია: საღებარი და მჟანგველი. საღებარს ემატება აგრეთვე მოდიფიკატორი, რომელიც მას საბოლოო შეფერილობას აძლევს. მჟანგავი - სტაბილიზირებული წყალბადის ზეჟანგია, თხევადი ან მყარი სახით.

მცენარეული საღებრები - ინა, ბასმა, ინდიგო და სხვა, ორგანიზმი-სათვის სრულიად უვნებელია და თმასაც არ აღიზიანებს. სინთეზურ-მა საღებრებმა ძირითადად გამოდევნა მცენარეული საღებრები, რადგან ისინი თმებს დიდი ხნის განმავლობაში უნარჩუნებს კარგ შეფერილობას.

ორგანული ქიმიისა და ბიოქიმიის, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება, საშუალებას აძლევს კოსმეტიკურ მრეწველობას აწარმოოს პროდუქცია მუდმივად განახლებადი სასარგებლო თვისებებით. ახალი ქიმიური საშუალებები სულ უფრო ხშირად გამოიყენება ამ სფეროში.

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ბიოტექნოლოგიების ბუმი და მიღებული შედეგების ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვა კიდევ უფრო კომფორტულს ხდის ადამიანის ყოფას.

სარჩევი

ისტორიული მიმოხილვა 3
კოსმეტიკური საშუალებების ნედლეული 19
ყვავილები, ეთერზეთები 20
კარვონი $C_{10}H_{14}O$. 24
ყავისფერი ალდეჰიდი C_9H_8O. 25
ევგენოლი $C_{10}H_{12}O_2$. 26
გერანიოლი $C_{10}H_{18}O$. 27
ანეტოლი $C_{10}H_{12}O$. 27
კამფორა $C_{10}H_{16}O$. 28
სუნამო 29
ხელის კრემები 34
სახის ნიღბები 35
კანის მათეთრებელი საშუალებები 36
დეზოდორანტები 36
ფეხის მოვლის კოსმეტიკური საშუალებები 37
დეკორატიული კოსმეტიკა 38
ფერადი კრემები 38
თვალების დეკორატიული კოსმეტიკა 38
ქუთუთოების საცხი 39
პომადა 39
ლოყების საცხი 41
ფრჩხილების მოვლის კოსმეტიკურ საშუალებები 41